35 ლ გ...ლ F939 N9010

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს და შაბათს

№31 (1541) 29.03–2.04, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ ვინ არის?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

# კახა თარგამაძე: „მოსმენა“, რა თქმა უნდა, დანაშაულია...

საუბრობენ გაზეთ „საქართველოს“ მთავარი რედაქტორი **ნოდარ გრიგალაშვილი** და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **კახა თარგამაძე**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №30

კ.თ. – დიახ, დაწვრილებით შემიძლია აღგიწეროთ, როგორ მოხდა ფირმა „ომეგაზე“ თავდასხმა და როგორ იქნა გატაცებული დიდძალი თანხა.

*ნ.გ. – მოდით, ვიდრე ამ დეტექტიურ სიუჟეტს გადმოგვცემდეთ, იმაზე გაეცით კონკრეტული პასუხი, რა საფუძველი შეიძლებოდა ჰქონოდა ხმებს, რომ ერთი ფირმა ერთ ძალოვან სტრუქტურას ეკუთვნის, მეორე კი – მეორეს?*

კ.თ. – ბატონო ნოდარ, რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს იმას, ხვალ რომ თბილისიდან ბომბეიმდე გვირაბის გათხრა დამაბრალონ?

*ნ.გ. – ამის „საფუძველს“ ახლავე მოვიძებნით. თქვენ ხომ პოლიტექნიკური ინსტიტუტი საავტომობილო გზების, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობის სპეციალობით გაქვთ დამთავრებული?..*

კ.თ. – (იცინის) ო, აი ეგ არგუმენტი კი „მტკიცე“ და „დაურღვეველია“. სხვათა შორის, ამგვარ ბრალმდებლებს ბრალდებების შეთხზვასა და შემდეგ არგუმენტების მოძებნაში ცოტას მეც წავეხმარები... მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიც მაქვს დამთავრებული და ახლა ჩემი პროფესიისა და თანამდებობის წყალობით ათასგვარ დაზარალებულ პიროვნებასა თუ დაწესებულებასთან მაქვს კავშირი.

ფირმა „ომეგასთან“, რა თქმა უნდა, კავშირი აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც დაზარალებულთან. ხვალ რომ ღმერთმა ... ფაროს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაძარცვოს ვინმემ, ან გნებავთ, „თოჯინების თეატრი“, ერთიცა და მეორეც, როგორც დაზარალებულნი, ჩვენ დაგვიკავშირდებიან და თუ ეს იმ დასკვნისათვის გამოდგება, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი ან თოჯინების თეატრი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნის, მაშინ, რა თქმა უნდა, „ომეგაც“ ჩვენი კუთვნილება ყოფილა...

ეს ყველაფერი იუმორით თქვენს იუმორზე. ახლა კი სერიოზულად მოგახსენებთ.

შეიძლება თუ არა, შსს-ს ჩაეთვალოს დიდ ცოდვად ის, რომ მათ ამხილეს თავიანთი თანამშრომლები და დააპატიმრეს. ჩვენ გვაქვს მორალური უფლება ნებისმიერი რანგისა და ნებისმიერი დო-

2



## ქვანიას ერთი კარგი მიტინგი მოენატრა

3

## „კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ფრონტმა“ სულ ააფრინა...

3

„ნეზავისიმაია გაზეტა“
„საქართველოს რესპუბლიკა“

## საქართველოს სრული განადგურების მოსკოვური გეგმა

4

*გაზეთ „საქართველოს“ მომდევნო ნომერი გამოვა სამშაბათს*

# კახა თარგამაძე: „მოსმენა“, რა თქმა უნდა, დანაშაულია...



პირველი გვერდიდან

ნის პიროვნებას შევებრძოლოთ, თუ დანაშაულში ვამხელთ.

თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ ის ორი პიროვნება, რომელიც ჩვენ დავაპატიმრეთ, ამ საქმესთან დაკავშირებით მაღალი რანგისანი არ იყვნენ, თუმცა, ცენტრალურ აპარატში მუშაობდნენ.

მივიღეთ რა ინფორმაცია ოპერატიული მონაცემების საფუძველზე, დავაკავეთ ფირმა „ელიზისა“ და შსს-ს თანამშრომლები, სხვებიც. ეს არის უკვე გახსნილი დანაშაულის კატეგორია.

დამნაშავე პირებისგან ამოღებულმა თანხამ უკვე 700000 დოლარს გადააჭარბა.

ორგანიზატორი იყო ბატატუნაშვილი გელა, პიროვნება, რომელმაც ჩამოაყალიბა დანაშაულებრივი ჯგუფი.

ხრიკული გიორგი, გლდანის სახანძრო პოლიციის თანამშრომელი – მეხანძრე, რიგითი პოლიციელი, რომელიც იქ სამხედრო კომენდატურიდან მოხვდა. ბატატუნაშვილი გელა სამხედრო კომენდატურაში მუშაობდა. ესენი ჯერ კიდევ აქედან იცნობდნენ ერთმანეთს.

ქორქია გია – მოქალაქე, ესენი დამხმარეები იყვნენ ამ საქმეში. თვალყურს ადევნებდნენ „ომეგას“, ინფორმაციას კრებდნენ.

ბატატუნაშვილი თამაზი – გელას ნათესავი (ბიძაშვილი), უშუალოდ ორგანიზებაში მონაწილეობდა.

ქინქლაძე ზურაბი.

ნუკრი ხოსიტაშვილი – პოლიციის კაპიტანი.

დავითულიანი გიორგი – პოლიციის კაპიტანი.

კოროლი ანატოლი.

დავითულიანი ხვიჩა, ნათესავი დავითულიანი გიორგისა.

სვანიძე გია. ტურაშვილი ზვიადი მძღოლი იყო. ესენი უშუალოდ შემსრულებლები არიან. დამხმარეები და შემსრულებლები უშუალოდ ერთმანეთს არ იცნობდნენ. მათ აკავშირებდა ერთმანეთთან ბატატუნაშვილი გელა. ამ საქმეში ყველას თავისი ფუნქცია ჰქონდა.

*ნ.გ. – „ომეგას“ საქმიანობა ისმინებოდა თუ არა აპარატურით?*

კ.თ. – ამის საშუალება ორივე ფირმას ჰქონდა. კონკურენციით დაკავებული ფირმები „მოსმენებს“ მიმართავენ, მხილებულია ტელეფონის კროსის უფროსი ინჟინერი ტყემალაძე ირა, რომლის მეშვეობითაც ისმენდნენ „ომეგას“ საქმიანობის შესახებ.

გარდა ამისა, ზოგიერთი ზემოხსენებული პირის მიერ ადრე ჩადენილი ყაჩაღობაც გაიხსნა, რომელიც მოხდა 1996 წლის 5 სექტემბერს. მაშინაც ორგანიზატორი იყო ბატატუნაშვილი გელა. ამ საქმეში არა, მაგრამ წინა ყაჩაღობაში მონაწილეობდა ნიორაძე ზურა – პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, ქალაქის პოლიციის მუშაკი.

ორივე საქმეში იყვნენ – ხოსიტაშვილი ნუკრი, დავითულიანი გიორგი, ერთი პიროვნება იძებნება წინა საქმესთან დაკავშირებით.

*ნ.გ. – წინა საქმე ისევ „ომეგას“ ეხება?*

კთ – დიახ, „ომეგამ“ მაშინაც საკმაოდ მოზრდილი თანხა დაკარგა. არა ამდენი! დღეს კი, როგორც გითხარით, უკვე 700000 დოლარზე მეტია ამოღებული. და თუ მე იმას მივთვლიან „ომეგას“ ადვოკატობას და დაცვაში, რომ ვამხილე ყაჩაღები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პოლიციელებიც იყვნენ, მაშინ, მეც ვაცხადებ, დიახ, დაინტერესებული ვარ, დაინტერესებული ყველა სისხლის სამართლის საქმის გახსნაზე.

*ნ.გ. – ამ მშიერ ქვეყანაში დიდი ფულის ხსენებამ ხალხი აღაშფოთა...*

კთ – რატომ იყო ამდენი ფული? მოგახსენებთ. ჩვენ გვინდა ვიაზროვნოთ სოციალისტურად და ვიცხოვროთ კაპიტალისტურად? თუ ფირმას 6 წლის განმავლობაში რესპუბლიკის ბიუჯეტში შეტანილი აქვს 7000000 ლარი (რაც 50 ქარხანას ერთად აღებულს არ აქვს შეტანილი), როგორ შეიძლება ასეთი ფირმის ინტერესები არ დავიცვათ. მეტსაც გეტყვით, როგორ შეიძლება იმის ინტერესებიც არ დაიცვა, რომელსაც ასევე 3000000 ლარი აქვს ბიუჯეტში შეტანილი. მაგრამ მათი ინტერესების დაცვა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე დანაშაულში დაიცვა.

არცერთ ინფორმაციაში მე არ ვამბობ, რომ ორგანიზაცია გააკეთა ამა და ამ ფირმამ. მე გეუბნებით, ორგანიზაცია გააკეთა ბატატუნაშვილმა, რომელიც მუშაობდა ფირმა „ელიზში“, რომ დანაშაულში მონაწილეობდნენ შსს-ს და ფირმა „ელიზის“ თანამშრომლები.

ჩვენ უმოკლეს ვადაში, ოპერატიულად გავხსენით საქმე. დანარჩენს გამოძიება იტყვის, წინასწარ სხვა დასკვნების გაკეთება არ შეიძლება.

*ნ.გ. – ფირმა „ელიზმა“ რამდენიმე განცხადება გააკეთა პრესით ფირმისა და მისი პრეზიდენტის უდანაშაულობის შესახებ. თქვენი აზრი.*

კთ – „ელიზის“ პრეზიდენტი ჯერჯერობით არ არის დაპატიმრებული, იგი დაკავებულია იარაღის ბრალდებით.

ყაჩაღობის ორგანიზებაში ბრალის დადების უფლება სამხილის გარეშე, ცხადია, არ გვაქვს.

*ნ.გ. – თქვენ ზემოთ ბრძანეთ, რომ ფირმის საქმიანობა ისმინებოდა. თავისთავად „მოსმენა“ არის თუ არა უკვე დანაშაული?*

კთ – რა თქმა უნდა, დანაშაულია.

*ნ.გ. – თუ მოქალაქემ გაიგო, რომ უსმენენ ე.ი. შეუძლია იჩივლოს არა?*

კთ – ცხადია, ჩვენ სერიოზული შეზღუდვები გვაქვს, ჩვენც და უშიშროების სამსახურსაც მოსმენის მხრივ, უნდა გვქონდეს სასამართლოს სანქცია. უნდა ვაცნობოთ პროკურატურას 24 საათის განმავლობაში, რომ საჭიროა გადაუდებელი ღონისძიება. წინასწარი სანქციის გარეშე მხოლოდ მაშინ გვაქვს უფლება, თუ საფრთხე ემუქრება სახელმწიფო პიროვნების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს და როგორც გითხარით, 24 საათის განმავლობაში, ესეც უნდა ვაცნობოთ პროკურატურასა და სასამართლოს.

სხვათა შორის, პრიმიტიული საშუალებით, რა თქმა უნდა, გარკვეული გასამრჯელოს ფასად ახდენდა ის ქალბატონი მოსმენას. ჩვენ იგი დავაპატიმრეთ, მიუხედავად იმისა, რომ იგი შესაძლოა საქმის კურსში არც იყო, მის მოსმენებს შემკვეთი კონკრეტულად რისთვის იყენებდა...

*ნ.გ. – თავდაპირველი ინფორმაცია იყო, რომ ყაჩაღებმა წაიღეს 650000 დოლარი, თქვენ კი ბრძანეთ, დამნაშავეთაგან უკვე 700000 დოლარია ამოღებულიო...*

კთ – არ ვიცი, საიდან გაჩნდა პირვანდელი ციფრი. ეს არ არის სწორი, თავდამსხმელებს გაცილებით მეტი თანხა აქვთ წაღებული და ეს თანხები სრულად ჯერ კიდევ არ არის ამოღებული. ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ 90% ამოვიღეთ დამნაშავეთაგან.

*ნ.გ. – ბატონო კახა, ერთ დიდ სახელმწიფო პირს უხუმრია ადრე, საქართველოში უკვე გვყავს არა საკავშირო (სსრ კავშირი აღარ არსებობს), არამედ საქართველოს კანონიერი ქურდები, გვყავს ჩვენი საკუთარი მაფიოზები, მოკლედ სახელმწიფოს დავემსგავსეთო... თქვენ ბრძანეთ, რომ ოპერაცია პროფესიონალურად იყო შესრულებული. ასეთ რამეებს ადრე საზღვარგარეთის დეტექტიურ ფილმებში ვუყურებდით. ჩვენთან პრიმიტიულად ხდებოდა ყაჩაღობა. თავში აგური და ფულის წართმევა, მოკლედ წინ წავწეულვართ... როგორ მოხდა დაყაჩაღება?*

კთ – ასეთი წინსვლისაგან ღმერთმა დაიფაროს ჩვენი ქვეყანა. ერთი კია, მათმა პროფესიონალიზმმა ის დადებითი შედეგი კი გამოიღო, რომ მანქანაში მსხდომთ ბრმა ტყვია არ მოხვდათ და კიდევ მეტი, უბედურებას გადაურჩით, ვინაიდან, ადამიანის სიცოცხლის ფასი ვერანაირი ერთეულით ვერ განისაზღვრება.

როგორც მოგახსენეთ, გ.ბატატუნაშვილმა, ორგანიზატორმა, ორგანიზატორს კი იმიტომ ვუწოდებ, რომ მან გააკეთა ორგანიზაცია, როგორც მოსმენის, ისე ფირმა „ომეგაზე“ მეთვალყურეობისა, დამხმარე პირებით მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა მთელი ღამე „ომეგა“.

„დარაჯებმა“ გადასცეს ინფორმაცია, რომ ფირმის მანქანები გამოვიდნენ და თავადაც „მიაცილებდნენ“ მანქანებს აეროპორტის ხიდამდე, რის შემდეგაც მანქანები გადაიბარა ბატატუნაშვილმა. ის აგრძელებს მანქანების „გაცილებას“ და გადასცემს შემსრულებლების ჯგუფს, რომ ავტომანქანები უკვე შევიდნენ მათ სამოქმედო არეალში – აეროპორტის გზაზე და ეს ჯგუფი აედევნა და მისცეს გაჩერების სიგნალი. არ დაემორჩილა რა მანქანა, სადაც ფული იყო, გაჩერების სიგნალს, მათ მოახდინეს მაყუჩიანი ავტომატითა და პისტოლეტით რამდენიმე გასროლა.

ყველა გასროლა მოხვდა მიზანში. არც ერთი ტყვია არ არის მიზანს აცდენილი. ყველა საბურავშია. არც დისკი, არც ფრთა ტყვიას არ გაუკაწრავს, აქედან გამოჩნდა, რომ საქმე გვქონდა პროფესიონალებთან. მანქანა ყოველგვარი ხმაურის გარეშე იქნა გაჩერებული. იქ მსხდომ ოთხ პიროვნებას ავტომატის ზემოქმედებით ართმევენ ფულს. თავდამსხმელები აგრძელებენ გზას და შემდეგ გადაჯდებიან წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე დაყენებულ სხვა მანქანაში.

*ნ.გ. – როგორ გაიხსნა ასე „კეთილად“ აწყობილი საქმე?*

კთ – ეს უკვე გამოძიების ნიუანსებია, ბატონო ნოდარ და პური ჩვენი არსობისა, სადაც თქვენ ველარ ჩაგახედებთ.

*ნ.გ. – მაშინ იმ ჩემოდანში ჩამახედეთ, სადაც ფული იდო, ჩემთვის ხომ არ დარჩა რამე?*

კთ – კი, იქ ჩაგახედებთ, მაგრამ გული დაგწყდებათ, სულ გაინაწილეს. ოთხ კაცს ორგანიზატორმა უწილადა 13–13 ათასი დოლარი. შემსრულებლებს გვარიანად მისცა. ორი პირისგან ამოღებულია 190 ათასი დოლარი. თვით ორგანიზატორიდან 212 ათასი დოლარი. ხოსიტაშვილისგან 102 ათასი დოლარი და ა.შ. მოკლედ იმის მიხედვით გაინაწილეს, ვინ რა სირთულის „სამუშაო“ შეასრულა.

თანხები, როგორც გითხარით, ასი პროცენტით ჯერ არ ამოგვიღია, მაგალითად, დავითულიან ხვიჩას ჩამოერთვა 45600 დოლარი. არადა, მისი ე.წ. „ჰონორარი“ 100000 დოლარს აღემატებოდა...

გამოძიება, ცხადია, გადამალულ თანხებს ამოიღებს...

მე მხოლოდ პირველი სამი დღის ნამუშევარი მოგახსენეთ.

*ნ.გ. – მანქანაში თუ იჯდა შალვა რჩეულიშვილი?*

კთ – რა თქმა უნდა, არ იჯდა. არც სადმე ახლოს ყოფილა. შალვა რჩეულიშვილმა, როგორც დაზარალებული ფირმის ადვოკატმა, მიმართა პროკურატურას და შინაგან საქმეთა ორგანოებს. ადვოკატი, ცხადია, დაიცავდა დაზარალებული ფირმის ინტერესებს. ყველა სერიოზულ ფირმას, ყველა სერიოზულ ორგანიზაციას თავისი ადვოკატი ჰყავს, თავისი იურისტი ჰყავს. ფირმები მათი საშუალებით მუშაობენ მაკონტროლებელ ორგანოებთან, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. [illegible] ხვალ რომ სხვა ფირმა დაზარალდეს, მას სხვა ადვოკატი გამოუჩნდება.

ასე რომ, შალვა რჩეულიშვილი რატომ მოხვდა პრესის ეპიცენტრში, ჩემთვის გაუგებარია.

*ნ.გ. – სამართლიანობა მოითხოვს ვთქვა. თქვენი პასუხიდან გამომდინარე მამაშვილ რჩეულიშვილების წინაშე ამ ერთადერთ შემთხვევაში, ჩემი გაზეთიც არ ყოფილა მართალი (თუმცა, სააგენტოს ინფორმაცია დავბეჭდეთ) და ამიტომ ამ კონკრეტული შემთხვევისათვის ვაღიარებ, რომ მას მედიას მათი უფლებები უსამართლოდ შეულახავს...*

კთ – როგორც საუბრის დასაწყისშივე გითხარით, რასაც ვამბობ, სრული სიმართლეა.

*ნ.გ. – ამისათვის ულრმეს მადლობას გწირავთ, მაგრამ თქვენს საუბარში გართულს სულ დამავიწყდა, რომ რაიმე მწვავე თუ მწარეც უნდა გკითხოთ.*

კთ – კი ბატონო, „დაკითხვა“ „დაკითხვაა“. (იცინის).

*ნ.გ. – მერე როლი არ გამიცვალოთ.*

კთ – თქვენ რა, როლის გაცვლით დაზარალდებით? შინაგან საქმეთა მინისტრობას წუნობთ?

*ნ.გ. – არა, დასაკითხის როლზე ვამბობ.*

კთ – ჰო, ეგ სხვა საკითხია. მგონი მკითხველი გადავღალეთ, ამიტომ ერთს მეც ვიხუმრებ – აქ იზოლატორში იმდენი პოპულარული პიროვნება გვყავს, ერთი მთავარი რედაქტორი ჰაერივით საჭიროა...

*ნ.გ. – დათასი არ იყოს, ვფიქრობ მე მაგაზე. ან ჩემი შემცვლელის კანდიდატურაზე, ახლა კი უკვე მოფიქრებულ კითხვას დაგისვამთ. ბატონო კახა, ისე ოპერატიულად გაიხსნა ხსენებული დანაშაული, ერთი ამბავი მახსენდება. რევაზ გაბაშვილს თავის მშვენიერ მემუარებში ანეკდოტური სიუჟეტი აქვს გადმოცემული. 1918–1921 წლების დამოუკიდებელ საქართველოში ჩამოსულან ინგლისის, გერმანიისა და საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრები.*

*ინგლისელს უთქვამს – ჩვენი პოლიცია ისეთი ძლიერია, ნებისმიერ დანაშაულს 2 თვეში ხსნისო.*

*გერმანელს – ჩვენი პოლიცია 2 კვირაშიო.*

*ფრანგს კი წაუტრაბახია – საფრანგეთის პოლიცია 2 დღეში ხდის ფარდას დანაშაულსო.*

*ეგ რა არის, თავი გამოუდვია ქართველ პოლიცმეისტერ ფაჩულიასაც, საქართველოში ორი კვირით ადრე ვიცით, დანაშაული რომ მოხდებაო...*

კთ – კი ბატონო, საქართველოს ყოველთვის ძლიერი პოლიცია ჰყავდა.

*ნ.გ. – ??? ბატონო კახა, ვითომ ვერ მიხვდით, რას ვგულისხმობ?*

კთ – მე კი მივხვდი, თქვენ რას გულისხმობთ, მაგრამ მე რატომ უნდა გავშიფრო? სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით, ერთ სიუჟეტს მეც მოგიყვებით, რომელიც სწორედ თქვენს

გაგრძელება მე-8 გვ.

## ქართული მხარე მზადაა...

გუშინ მოსკოვში დაიწყო დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა შეხვედრა. სამიტზე ქართული მხარე წარმოადგენს რიგ წინადადებებს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის გაფართოების შესახებ. საქართველოს დელეგაციამ მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, რომ სამიტის გადაწყვეტილების რეალიზაციამ იმპულსი უნდა მისცეს ლტოლვილების დაბრუნების პროცესს აფხაზეთში. აღინიშნა, რომ ქართული მხარე მზადაა განიხილოს აფხაზეთის ყველა წინადადება, რომელიც ლტოლვილების დაბრუნებასთანაა დაკავშირებული. (ბი ჯი აი)

## საქართველოს პრეზიდენტი მოსკოვს გაემგზავრა

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი ე.შევარდნაძე მოსკოვში გაფრინდა, სადაც იგი მონაწილეობას მიიღებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა სამიტში.

გუშინვე ე.შევარდნაძემ მონაწილეობა მიიღო დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა დახურულ სხდომაში. შუადღეზე გაიმართა დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა პლენარული სხდომა და პრეს-კონფერენცია. კრემლში, გეორგიევსკის დარბაზში, რუსეთის პრეზიდენტის სახელით გაიმართა მიღება, ხოლო 19 საათზე ე.შევარდნაძე შეხვდა მოლდოვის პრეზიდენტს.

დღეს დაგეგმილია რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პრეზიდენტებთან. (იფრინდა)

## „ვიდრე ჩვენ რუსეთის მომლოდინე ვიქნებით, აფხაზეთის საკითხი არ გადაწყდება"

გუშინ საპარლამენტო ფრაქცია „სახალხო ფრაქცია-ეროვნულ დემოკრატი"-ს თავმჯდომარის მოადგილემ ვ.ხუხუნაიშვილმა, აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით, პრეს-კონფერენცია გამართა. როგორც მან აღნიშნა, საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას თავი ვერ გაართვა. მისივე თქმით, პარლამენტმა მიიღო განცხადება აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა გატარების შესახებ.

ვ.ხუხუნაიშვილის განცხადებით, დღეს საქართველოში გააქტიურდნენ ძალები, რომლებსაც აფხაზეთის საკითხის დაკონსერვება სურთ. „დესტაბილიზაციის შიშით, საქართველოს ხელისუფლების სურვილი – აფხაზეთის საკითხი რუსეთთან კავშირში განიხილოს, აფხაზეთის კრიზისის გაღრმავებას ნიშნავს", – განაცხადა მან. მისივე თქმით, ფრაქციის პოზიცია ცალსახაა – „სანამ ჩვენ რუსეთის მომლოდინე ვი[illegible]ბით, აფხაზეთის საკითხი არ გადაწყდე[illegible]".

რაც შეეხება დესტაბილიზაციის თაობაზე გავრცელებულ ხმებს, ვ.ხუხუნაიშვილმა განაცხადა: „როდესაც ეს რუსეთის ჯარების გაყვანას უპირისპირდება, იბადება ეჭვი, რომ ეს პროპაგანდა ხელისუფლების მხრიდანაა ინსპირირებული".

დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა სამიტთან დაკავშირებით, ვ.ხუხუნაიშვილი თვლის, რომ იგი საქართველოს სასიკეთოს არაფერს მოუტანს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქართული მხარის მიერ წაყენებული მოთხოვნები შესრულდება.

„არ შეიძლება, საქართველოს პრეზიდენტი დღეს, მუდმივად თავდახრილ მდგომარეობაში იყოს, ხან ჯაბა იოსელიანს, ხან ი.გიორგაძეს, ხან კი ვ.ნადიბაიძეს. არ შეიძლება პრეზიდენტი იქმნიდეს სულ დასაცავის იმიჯს. თუ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მართლაც არიან მტრები, ეს უნდა ითქვას და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებები", – განაცხადა ვ.ხუხუნაიშვილმა. (იფრინდა)

# „კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ფრონტმა" სულ ააფრინა...

27 მარტს ჟურნალისტთა სახლში „კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ფრონტის" შეკრება გაიმართა. თუმცა, შეტყობინებაში მათ თითქოს დიალოგი სურდათ ჟურნალისტებთან. დიალოგის რა მოგახსენოთ, შეკრების მომწყობებს უფრო მეტად თავისი პოზიციის დაფიქსირება სურდათ, რომელიც პრესის მუშაკების შეურაცხყოფაში გამოიხატა. საკვირველი ის იყო, რომ მათ აგრესია მიმართეს გაზეთების: „საქართველოს", „ახალი თაობის", „რეზონანსის" და სხვების მიმართ, იმ ცნობილი გამოცემების მიმართ, ვინც მათ ინფორმაციას, ინტერვიუს თუ აქციას ობიექტურად აშუქებდა; ვინც ცდილობდა ერის კონსოლიდაციას, ვინც იცავდა პოლიტპატიმრებს; ვინც იღწვოდა, რომ ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან საქართველოს პირველი პრეზიდენტის მომხრეების საწინააღმდეგოდ წამოსული რეპრესიული ქმედებები სააშკარაოზე გამოეტანა და შესაძლებლობის ფარგლებში შეერბილებინა. „ეს მაშინ თქვენს ინტერესებში იყო და ამიტომ წერდითო" – ასეთი იყო მათი პასუხი. ვერაფერს იტყვი. აფერუმ! ერთო მადლიო. რაც შეეხება ამ ფრონტის მოღვაწეობას, ისინი არათუ არ აღიარებენ დიქტატორულ ხელისუფლებას, არამედ გამორიცხავენ არჩევნებს, პლებისციტს, დღევანდელ კონსტიტუციას და ა.შ. როგორც ეტყობა, ფრონტს ძალიან სურს იმდენად დაარღვიოს კანონი, რომ ხელისუფლებამ მართლა აღკვეთოს მათი მოქმედება ბავშვური გულუბრყვილობით ისიც სჯერათ, ალბათ, რომ პრეცენდენტს შექმნიან და პოლიტპატიმრების სტატუსს, ან რეპრესირებულის გვირგვინებს დაიდგამენ თავზე. ალბათ, მათი ფანტაზიების სარეალიზაციოდ იყო, რომ ჩვენ, დამოუკიდებელი გაზეთები, სახელმწიფო პრესა და ტელევიზია ერთ ქვაბში ჩაგვყარეს, აურ-დაურიეს და ყველას ერის გამყიდველები, კანონიერი ხელისუფლების სისხლში გასვრილები და ქვეყნის დამაქცევრები გვიწოდეს. ამ აჯაფსანდალსაც არ დასჯერდნენ და ყვითელი პრესის ყველა ცოდვის საკმაზიც ზევიდან დაგვაყარეს. რა თქმა უნდა, ამ ხალხის უმადურობა ერთია, მაგრამ დასაფიქრებელი სხვაა. მათი პოზიცია აფხაზეთის საკითხში საგრძნობლად დაემთხვა „მოქალაქეთა" ზოგიერთი ლიდერის პოზიციას: „ახლა დასავლეთში შეჭრა უნდათ და იქ ახალგაზრდობას ამოგვიხოცავენო". ამ განცხადების შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა. სწორედ ვიღაცის დემონური გონება ისე მიმართავს ქართველი ერის ცნობიერებას, ყველა პატიოსანი ადამიანის აზრს, რომ ალტერნატივა არ დარჩეს. „აი, ზვიადის მომხრეები" – გაჩვენებს ვიღაც. „აი, ლტოლვილთა ლიდერები", „აი ოპოზიცია", „აი, პანტელეიმონ გიორგაძე". და „აი, მეც!" ამგვარად, ნათელი წერტილი არ რჩება.

ერთი კი სწორი თქვა ია მუხრანელმა, თავისუფალი პრესა ყოველთვის ოპოზიციურიაო. დიახ, ასეა დროა განვასხვაოთ ვიწრო პარტიული ინტერესები, თუნდაც ოპოზიციური, მას-მედიის ოპოზიციურობისაგან. ჩვენ დღეს უძველესი პროფესიის გილდიას კი არ ვეკუთვნით, არამედ არანაკლებ ძველი, ყოველთვის და ყველა ცივილიზაციისთვის აუცილებელ ფუნქციას ვასრულებთ, ერში არსებული ნაგვის გამომზეურება და მისი კუთხე-კუნჭულის დასუფთავება გვაქვს დაკისრებული. ამიტომ არასდროს უყვარვართ ხელისუფლებას, რადგან თავის ჭუჭყიან საცვალს და დაგროვილ ნაგავს ყველა მალავს. ასევე იქცევიან სხვა პარტიებიც. ამიტომ გვერიდებიან, ამიტომ გვლანძღავენ, უფრო ჭკუიანები გვეფერებიან, რადგან ყველა პარტიას ერთი მიზანი აქვს, ხელისუფლება ჩაიგდოს ხელში და იცის, რომ დასამალი ნაგავიც დაუგროვდება.

რაც შეეხება ზოგიერთებს, კარგა ხანია სუნთქვას უშლით თავისუფალი პრესა, რომელიც მათგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა, განვითარდა და სამომავლო გზასაც დამოუკიდებლად, დიდი შრომითა და წვალებით იკაფავს. არც ის მოსწონთ, რომ დიქტატი და გავლენა დაკარგა კომუნისტების შემდგომ წამოსულ ჟურნალისტთა თაობაზე. ჩამოყალიბდა ჟურნალისტთა გილდიის დამოუკიდებელი ჯგუფები და ორგანიზაციები, რომლებსაც ფედერაციის გვერდის ავლით აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობა, ყოველ კონკრეტულ მოვლენაზე გააჩნიათ საკუთარი აზრი და მათთვის სასიცოცხლო პრობლემის ირგვლივ კონსოლიდაციაც შეუძლიათ. ერთ-ერთმა გამომსვლელმა პირდაპირ გვითხრა: „რაა ეს ასოციაციები და ორგანიზაციები, ჩვენ ერთი ფედერაცია გვქონდა და თავს კარგად ვგრძნობდითო". იმას კი ვერ გრძნობენ, რომ ბოლშევიზმის ქარი უბერავს მათი ნააზრევიდან. ამ შემთხვევაში თუ ვინმე შეიძლება შეგვეცოდოს, ეს ჩვენი პირველი პრეზიდენტის სულია, რადგან რა უნდოდა მას, რას ფიქრობდა და რა მოღვაწეობას ეწეოდა, დღეს ყველა მის მომხრეს ამ თემაზე თავისი ინტერპრეტაცია გააჩნია, ხშირად სრულიად დიამეტრალურად განსხვავებული. ალბათ, ესეც იმ დემონური ხელის ხრიკებია, სასწრაფოდ წაშალოს და დააეწყოს ქართველთა ცნობიერებას ჩვენი უახლოესი ისტორიის სიმართლე.

მანანა იაშვილი
28/3/97

# ქვანიას ერთი კარგი მიტინგი მოენატრა

*27 მარტს პარლამენტში შედგა შეხვედრა დეოკუპაციის კომიტეტის წარმომადგენლებს და რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას შორის. შეხვედრაში აგრეთვე მონაწილეობდა მიხეილ სააკაშვილი.*

ბ-ნმა ირაკლი წერეთელმა აღნიშნა, რომ ასეთი ტიპის შეხვედრა პირველად ხდება, რაც საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელთა და არასაპარლამენტო ოპოზიციას შორის ჯანსაღ კონსტრუქციულ თანამშრომლობას წარმოადგენს. მიზანი, როგორც მხარეებმა დააფიქსირეს, შეხვედრის მონაწილეებს ერთი და იგივე გააჩნიათ ეს არის საქართველოს ფაქტობრივი დამოუკიდებლობა, იურიდიული საზღვრების აღდგენა და რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლა (ბ-ნი ზურაბის თქმით, პარლამენტში მომწიფდა აზრი და მიმდინარეობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა სერიოზული გადასინჯვის პროცესი). პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა ფრაქცია „აფხაზეთის" აქციის დადებითი როლი საზოგადოებრივი აზრის გამოღვიძებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემებისადმი ქართველი ხალხის ყურადღების მიპყრობის საქმეში. თავმჯდომარეს გადაეცა დეოკუპაციის კომიტეტის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი საქართველოს რესპუბლიკის დეოკუპაციის შესახებ. ბ-ნმა ზურაბ ჟვანიამ ილაპარაკა დღესდღეობით მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და ამერიკაში ვიზიტის შედეგების შესახებ.

ბილ კლინტონისა და ბორის ელცინის შეხვედრის შედეგებმა ცხადყო, რომ მადრიდის სამიტამდე, რომელიც ივლისშია დაგეგმილი და ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებას ეხება (სავარაუდოა უნგრეთის, ჩეხეთის და პოლონეთის გაწევრიანება), რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაძაბვის შემთხვევაში აშშ-ს და ევროპის სხვა ქვეყნებს არ აწყობთ რუსეთთან დაპირისპირება, შესაბამისად იმპერიის რეაქციულ ძალებს ხელები ეხსნებათ კავკასიის რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციისათვის, რაც თავისთავად კაპიტალდაბანდებათა დაკონსერვებას გამოიწვევს. განსაკუთრებით აღინიშნა საქართველოზე გამავალი ნავთობსადენის პროექტის აქტუალობა. რაც შეეხება დეოკუპაციას, რესპუბლიკაში დღესდღეობით იმყოფებიან რუსეთის სასაზღვრო ჯარები, სამხედრო ბაზები და სამშვიდობო ძალები. პარლამენტში მიმდინარეობს კანონის განხილვა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ, სადაც დაფიქსირებულია, რომ საქართველოს საზღვრებს იცავს ქართული ჯარი. კანონის მიღება თავისთავად გამოიწვევს საკითხის დაყენებას და გადაწყვეტას რუსული სასაზღვრო ჯარების გაყვანის შესახებ.

ბ-ნმა ნოდარ ნათაძემ აღნიშნა, რომ ხანგრძლივი ოკუპაციის ერთ-ერთი ძირითადი შედეგია დღეს მოსახლეობის ცნობიერებაში ოსური ტერიტორიული ერთეულის არსებობა. ოკუპაციის ეს შედეგი სწრაფად უნდა იქნეს აღმოფხვრილი. არ შეიძლება რაიმე ნაბიჯი გადადგმული იქნას ცხინვალის ზონაში კვლავ „ოსეთის" შესაქმნელად. ამას ისიც კი სჯობს, რომ შენარჩუნებული იქნეს სტატუს-ქვო.

თუკი პოლიტიკურ სიტუაციას არ დაძაბავს, იქნებ ერთი მიტინგი ჩაგვეტარებინა დეოკუპაციის კომიტეტს, – წინადადებით გამოვიდა ბ-ნი წერეთელი, რაზეც, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ბ-ნმა ჟვანიამ ღიმილით უპასუხა, რომ ერთი კარგი მიტინგი მასაც მოენატრა. შეხვედრამ თბილ ატმოსფეროში ჩაიარა, რისი მოლოდინიც მხარეებს მაინცდამაინც არ ჰქონიათ. გადაწყდა, შეხვედრებს დეოკუპაციის კომიტეტსა და ხელისუფლებას შორის მიეცეს საკონსულტაციო და სისტემატური სახე, რადგანაც, როგორც ბ-ნმა ჟვანიამ აღნიშნა, მიზანი მათი ერთი არის, მხოლოდ მიღწევის გზებში არის სხვაობა და კარგი იქნებოდა, თუკი ეს განსხვავება ხელს კი არ შეუშლის, არამედ დაეხმარება საბოლოო მიზნის მიღწევას.

კობა კიკნაძე

## «აშშ-ის [illegible] საზოგადოების აშენებას»

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გ.ქურვალიშვილმა წერილი გაუგზავნა საქართველოს უშიშროების მინისტრს შ.კვირაიას. წერილში იგი თხოვნით მიმართავს მინისტრს, დაერთოს ნება დაინტერესებულ საზოგადოებას და ასოციაციის წევრებს, გაეცნონ საქართველოს სუკ-ის არქივს, რათა დადგინდეს კომუნისტური რეჟიმის მიერ საქართველოში ჩადენილ დანაშაულებათა მასშტაბი, დაზარალებულთა რიცხვი, რეპრესიების მიზანდასახულობა, მეთოდები და ა.შ. გ.ქურვალიშვილი თვლის, რომ ეს შესაძლებელს გახდის დაზარალებულთა და მათი ოჯახების წევრთა კანონიერი უფლებების დაცვას და ქვეყანაში დემოკრატიული, სამართლებრივი საზოგადოების აშენების საფუძველს შექმნის. წერილის ასლები დაეგზავნა საქართველოში არსებულ საელჩოებს. (იფრინდა)

## წერეთელი შიმშილობს

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ირაკლი წერეთელმა უვადო შიმშილობა გამოაცხადა პარტიის ოფისში. ამის შესახებ წერეთელმა პრეს-კონფერენციაზე გააკეთა განცხადება. იგი არ აპირებს შიმშილობის შეწყვეტას, ვიდრე საქართველოს ტერიტორიას არ დატოვებენ რუსეთის საოკუპაციო ჯარები და საქართველოს პარლამენტი საგანგებო სხდომაზე არ განიხილავს დეოკუპაციის კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის" მოთხოვნებს. (ბი ჯი აი)

## გ.მუჩაიძე სინანულს გამოთქვამს

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გ.მუჩაიძემ წერილი გაუგზავნა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარეს ი.წერეთელს. წერილში პარტიის პოლიტიკური საბჭო თანადგომას და მხარდაჭერას უცხადებს ი.წერეთლის შიმშილობის აქციას და აღინიშნავს, რომ „საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების არასწორმა საგარეო პოლიტიკამ სერგო ორჯონიკიძის შედეგებზე უფრო ამაზრზენი შედეგები მოუტანა საქართველოს: ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად მოიშალა, ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა, ხალხი სიღატაკისა და შიმშილობისაგან დაბეჩავდა, ეროვნული სულისკვეთება ჩაკვდა". წერილის ავტორს მიაჩნია, რომ საქართველოს მოსახლეობა რუსეთთან არათანასწორუფლებიანი მოკავშირეობისათვის ხელისუფლებამ ობიექტურად „შემზადა", რაც, მისი აზრით, ეროვნული ღალატის ტოლფასია. დასასრულს გ.მუჩაიძე სინანულს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები უძლურნი აღმოჩნდნენ თავიდან აეცილებინათ საქართველოსათვის ასეთი სამარცხვინო პერსპექტივა. (იფრინდა)

## „ჩვენი პარლამენტი ცენტრალურ კომიტეტს წააგავს"

უოველივე ეს შორსაა იდეალისაგან, საქართველოში წარსულს ჩაბარდა ლია პოლიტიკის დრო, – ასეთი აზრი გამოთქვა საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერმა აკაკი ასათიანმა პრეს-კონფერენციაზე. ჩვენი პარლამენტი უმეტეს შემთხვევაში კომუნისტური დროის ცენტრალურ კომიტეტს წააგავს, – აღნიშნა ასათიანმა.

რუსეთის შიში ნატოსთან შერწყმასთან დაკავშირებით, ბარბაროსის შიშს წააგავს ყოვლგვარი სიახლის წინაშე – განაცხადა აკაკი ასათიანმა. ეს მაინც შეუქცევადი პროცესია. დღეს ბევრი გაურკვევლობაა პოლიტიკაში, მაგრამ მოვლენები სწრაფი ტემპით ვითარდება. ოთხმოციან წლებში არავინ იფიქრებდა, თუ საბჭოთა კავშირი ასე მალე დაიშლებოდა. ასეა ახლაც – ის, რაც შორეულ პერსპექტივად გეჩვენება, შეიძლება უახლოეს მომავალში განხორციელდეს, – აღნიშნა მან. (ბი ჯი აი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სრული განადგურების მოსკოვური გეგმა

*ხუთშაბათს, საქართველოს ტელევიზიის I არხით, ქართველი პოლიტიკოსები საუბრობდნენ იმ საშინელი შინაარსის წერილზე, რომელიც „ნეზავისიმაია გაზეტამ" გამოაქვეყნა და „საქართველოს რესპუბლიკამ" გადმობეჭდა.*

*მეორე დღეს გაზეთის ეს ნომერი ჯიხურებში ვეღარ ვნახეთ. რედაქციაშიც არა გვაქვსო - გვითხრეს. ვინაიდან ამ მოხსენებისადმი ქართველი მკითხველის ინტერესი დიდია, გადავწყვიტეთ მისი გადმობეჭდვა ძლივს მოპოვებული ეგზემპლარიდან. ვბეჭდავთ მას შესავალი ნაწილის გარეშე, ანუ იმ ნაწილს, რომელიც განსაკუთრებით საყურადღებოა.*

*ეს მართლაც შემაძრწუნებელი წერილი არა მხოლოდ რუსთა ზრახვებს წარმოაჩენს საჯაროდ და ამითაა საგულისხმო, არამედ იმ თვალსაზრისითაც, თუ რა დღეშია საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლება.*

*კიდევ ერთი, როცა მოხსენების ავტორები, საქართველოს სიკვდილის მოსურნენი, აჭარის სეპარატისტული ტენდენციების გაღრმავებასა და მასზე დაყრდნობაზე საუბრობენ, ნუთუ ამჯერად მაინც არ არის ვალდებული „აჭარის ლომი" პროტესტი გამოხატოს ამ ბრალდებზე მიმართ?*

*ამას ჩვენ ვერ ვითხოვთ უცხო სახელმწიფოს, სომხეთის ხელმძღვანელობისაგან კატეგორიულად, მაგრამ აჭარის ხელმძღვანელობამ დროა გააკეთოს მთელი რუსეთის გასაგონად განცხადება, რომელიც ცივ წყალს გადაასხამს იმპერიალისტთა მოომედეობას, თავის სამსახურში ჩააყენონ საქართველოს ძირძველი კუთხის ხელმძღვანელობა.*

*ახლა კი, ვისაც არ წაუკითხავს „საქართველოს რესპუბლიკაში", გაეცნობა მოსკოვის ამ ვერაგულ გეგმას.*

*P.S. პოლიტიკოსთა საყურადღებოდ, განსაკუთრებით რეზო ადამიასა და რონდელის გასაგონად! ძვირფასო მეგობრებო, ორი მოსკოვი, ორი რუსეთი, რა თქმა უნდა, არსებობს. რა თქმა უნდა, არსებობდა დეკაბრისტებისა და ნიკოლოზ პირველის ორი რუსეთი. რა თქმა უნდა, არსებობდა ტოლსტოის, დოსტოევსკისა და მეორეს მხრივ, სტოლიპინის ორი რუსეთი. რა თქმა უნდა, არსებობს ჟირინოვსკისა და სობჩაკის ორი რუსეთი, მაგრამ როგორც არარუსებზე მიდგება საქმე, ორი რუსეთი ერთი ხდება მათი მისამართით.*

*საქართველოს მიმართ გენიალურ დოსტოევსკისა და ტვინგალაყებულ ჟირინოვსკის განსხვავებული პოზიცია არ აქვთ. ამის ილუსტრაცია დოკუმენტური წყაროებით შეგვიძლია.*

*გაზ. „საქართველოს" რედაქცია*

„ნეზავისიმაია გაზეტა"
„საქართველოს რესპუბლიკა"

## დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა: ისტორიის დასაწყისი თუ აღსასრული?

ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ რუსეთი ფაქტობრივად დათანხმდა ინტეგრაციის ისეთ ლოგიკას, რომლის დროსაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები პროტოსახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სტადიაში ხდებიან რეალური სახელმწიფოები საამისოდ საჭირო ყველა ატრიბუტითურთ, შემდეგ ახორციელებენ ინტეგრაციას ეკონომიკურ სფეროში, და მხოლოდ ამის მერე იწყება სამხედრო და პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესი და სუვერენული და თავისუფალი სახელმწიფოების ნამდვილად განახლებული კავშირის შექმნა.

თანამეგობრობისა და პოსტსაბჭოური სივრცის განვითარების გამოცდილება საშუალებას გვაძლევს გადაჭრით ვთქვათ, რომ ინტეგრაციული პროცესების განვითარების ასეთ ლოგიკას უახლოეს მომავალში მოჰყვება საერთოდ ინტეგრაციის იდეის საბოლოოდ დისკრედიტაცია, ვინაიდან მთელი ამ მოლოდინის შემდეგ სრული სვლით დაიწყება სსრ კავშირის სივრცეში ძალის მრავალი ცენტრის წარმოშობის პროცესი, რუსეთის განდევნა ბევრი საარსებო მნიშვნელობის ზონიდან.

სწორედ ამიტომ, თუკი ჩვენ გვსურს შევინარჩუნოთ რუსეთი სახელმწიფოდ და პოსტსაბჭოური სივრცის ბირთვად, კონკრეტულ შემთხვევაში ისეთი უნიკალური წარმონაქმნის მიმართ, როგორიც არის თანამეგობრობა, უნდა შევცვალოთ ინტეგრაციის ტრადიციული დასავლური სქემა. ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, იმედი უნდა დავამყაროთ სამხედრო პოლიტიკურ ინტეგრაციაზე, ან უფრო მეტიც, - ცალკეულ ქვეყნებთან სრულ გაერთიანებაზე, რისკენაც წარიმართება შემდეგ ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესიც. თანამეგობრობის ქვეყნებისათვის საუკეთესო და ყველაზე ახლო მაგალითია არა ევროპის გაერთიანების ჩამოყალიბებისა და განვითარების გამოცდილება, არამედ, უფრო მეტად, ორი გერმანიის გაერთიანების გამოცდილება.

რუსეთი და თანამეგობრობა კრიზისულ მიჯნას მიადგნენ. იმისათვის, რომ რუსეთი შევინარჩუნოთ როგორც სახელმწიფო და თანამეგობრობა - როგორც სივრცე, რომელშიც მოსკოვის გარშემო შეიძლება ჩამოყალიბდეს ცხოველუნარიანი ბირთვი, საჭირო გახდება კურსის შეცვლა, განვითარების გზის საბოლოო არჩევანის მოხდენა როგორც ქვეყანაში, ისე თანამეგობრობის სახელმწიფოების მიმართაც.

პოსტსაბჭოურ სივრცეში უნიკალური სიტუაციაა შექმნილი და იგი მოითხოვს საგანგებო მიდგომის შემუშავებას რუსეთის ინტერესებისათვის პოსტსაბჭოური სივრცის ყველაზე ეფექტიანი ორგანიზაციის მისაღწევად. როგორც რუსეთი, ისე თანამეგობრობის ყველა სხვა ქვეყანა შორს არიან თავიანთი სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესის დასრულებისაგან, ახალ მსოფლწესრიგში თავიანთი ნიშების პოვნისაგან. სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ არის ორი შესაძლებლობა: ან პოსტსაბჭოური სივრცე გადაიქცევა ძალის მრავალ ცენტრად, რომელთაგან ზოგიერთი (უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი) დასავლეთისა და მეზობელი დიდი რეგიონული სახელმწიფოების მეშვეობით მოგვევლინებიან რუსეთის შემაკავებლად (ამასთან ძლიერდება ანტირუსეთულ საფუძველზე აღნიშნული ცენტრების ჰორიზონტალური სამხედრო-ეკონომიკური ინტეგრაციის ტენდენციები. ასეთი მაგალითი შეიძლება იყოს ტაშკენტ-ბაქო-თბილის-კიევის ღერძი, რომელიც ახლა იქმნება და რომელიც ხსნილია ყოფილი სსრ კავშირის სხვა დედაქალაქების შემოსაერთებლად). ანდა გაიმარჯვებს ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკებში სახელმწიფოთმშენებლობის პროცესში რუსეთის მტკიცედ ჩაბმის გეზი, რათა გამოვიყენოთ ზემოქმედების მთელი ეკონომიკური, სამხედრო, ეთნოდემოგრაფიული და სხვა ბერკეტები, და არ დავუშვათ სახელმწიფო ხელისუფლების კონსოლიდაცია ანტირუსეთული და ანტიინტეგრაციონისტული ორიენტაციის მქონე ძალების გარშემო. მხოლოდ აქტიურ მოქმედებას (თუ საჭირო გახდა, შინაპოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციაც რეგიონებში, სადაც განსაკუთრებით გააქტიურდნენ ანტირუსეთული და ანტიინტეგრაციონისტული ძალები) შეუძლია თავიდან აგვაცილოს ის პროცესი, რომ აღნიშნული სახელმწიფოები ნელნელა, მაგრამ გარდაუვალად, რუსეთის ხელისუფლების ახლანდელი პოლიტიკის წყალობით, ჩამოსცილდებიან რუსეთს და დსთ ფიქციად გადაიქცევა. რუსეთ-ბელორუსიის ფრონტზე ინტეგრაციის შესაძლო გარღვევა შეიძლება კატალიზატორი გახდეს ტენდენციების რადიკალური შეცვლის გზაზე, დეზინტეგრაციიდან პოსტსაბჭოური სივრცის რეალურ კონსოლიდაციამდე.

უკანასკნელ ხანს რუსეთს მძლავრი არგუმენტი უჩნდება იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა ჩეჩნეთი ნამდვილად გამოეყოფა რუსეთის ფედერაციას და მის დამოუკიდებლობას ცნობს საერთაშორისო გაერთიანება. ეს არის ერის თვითგამორკვევის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის პრინციპთა იერარქიაში პრიორიტეტის უფლების წამოყენება. პრიორიტეტების შეცვლა რუსეთს მისცემს საბაბს, რევიზია გაუწიოს სსრ კავშირის დაშლის შემდეგ რესპუბლიკების ტერიტორიული გამიჯვნის მორიგებათა მთელ არსებულ სისტემას, უგულებელყოს მათ მიმართ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი და დააყენოს საკითხი ერთა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე ამ სივრცის გადანაწილების შესახებ.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საერთაშორისო გაერთიანება ყველაფერს იღონებს, რათა ამ საკითხში ხელი არ გამოაღებინოს რუსეთს. ალბათ, რუსეთს მოუწევს ძალაუფლების კონსოლიდირება ფედერაციის ტერიტორიაზე, თანამეგობრობის სტრატეგიული კურსის რეალიზაცია იმ პრინციპულ საფუძვლებზე, რომლებსაც განვიხილავთ წინამდებარე მოხსენებაში. ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს, რომ დღესდღეობით რუსეთში არ არსებობს ხელისუფლების ქმედუნარიანი სუბიექტი, მაგრამ როგორც ზოგადი კონცეპტუალური ხედვა, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ, ისე კონკრეტული სტრატეგიები უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, შუა აზიის, ამიერკავკასიის მიმართ აუცილებელი გახდება, როგორც კი ჩვენს ქვეყანაში დასრულდება ქაოსის პერიოდი, დამთავრდება ძალაუფლებრივ სტრუქტურებში კლანების გაფართოებული ბრძოლის ხანა და, საბოლოოდ, გაჩნდება კონსოლიდირებული ხელისუფლება და სახელმწიფოებრივი შემართება.

რუსეთისათვის შექმნილ არახელსაყრელ საშინაო და საგარეო პირობებში. ბელორუსიასთან გაერთიანება მრავალი პოლიტიკური ჩიხიდან ღირსეული გამოსავალი იქნებოდა. ბელორუსიისა და რუსეთის ურთიერთობებში არ არის დამაცალკევებელი ტერიტორიული პრობლემები, როგორიც უკრაინასთან გვაქვს, და არ არის დიდი ეროვნული, კულტურულ-ენობრივი და რელიგიური განსხვავებანი, როგორც - ყაზახეთთან, შუა აზიისა და ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან.

...თუ რუსეთი შეეცდება გადააქციოს დსთ ქმედით და ქმედუნარიან თანამეგობრობად, ადრე თუ გვიან ჩვენ ვერ ავიცილებთ თავიდან გასაცდელს უკრაინასთან ურთიერთობაში...

უკრაინა გინდ ლეონიდე პირველი, და გინდ ლეონიდე მეორის დროს, მცირეოდენი კორექტივებით, ანტირუსეთული პოლიტიკის ფარვატერში დგას. და ეს შემთხვევითი როდია. ...იმიტომ, რომ ახლანდელ უკრაინას გაძლება-გადარჩენისა და შეკავშირებისათვის სჭირდება დასაწყისისათვის კონსოლიდაცია ჰყოს რუსეთთან კონფრონტაციით. უკრაინის პოლიტიკური ერი, უკრაინის პოლიტიკური კლასი, ასეთ გეზს. მიესალმება დასავლეთი, რომელიც უკრაინას სპონსორობს და რუსეთისადმი უკრაინის დაველიანების თამასუქებს ყიდულობს.

### ამიერკავკასიის გასაღები: ანტირუსეთული ღერძი თუ კონტროლს დაქვემდებარებული არასტაბილურობის რკალი?

1994 წლის დამლევიდან რუსეთის დიპლომატიას ახალი თავისტკივილი გაუჩნდა, რადგან სიტუაცია რეგიონში რადიკალურად შეიცვალა. 1994 წლის 20 სექტემბერს გაფორმდა პირველი სუპერპროექტი დასავლეთის კომპანიათა მონაწილეობით კასპიის ნავთობის მოპოვების შესახებ, რომლის კაპიტალდაბანდებათა თანხა დაახლოებით 7,5 მილიარდ დოლარს შეადგენდა. პროექტის მთავარ კოორდინატორად გამოვიდა ამერიკაინგლისის კაპიტალის კონტროლის სფეროში შემავალი აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კონსორციუმი (ამოკი). საუკუნის პირველ კონტრაქტს მოჰყვა სხვა, ასევე უპირატესად დასავლეთის ნავთობის კომპანიათა მონაწილეობით დადებული კონტრაქტები.

ამრიგად, ამ დროისათვის, რუსეთის დიპლომატიამ სამმაგი მარცხი იწვნია: ჯერ ერთი, ვერ მოხერხდა რუსეთზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალების განმტკიცება აზერბაიჯანში... მეორე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჯერ ისევ ყოველნაირად ცდილობს, საეჭვო გახადოს დადებული კონტრაქტების იურიდიული მნიშ-

გაგრძელება მე-6 გვ.

## ალიაქოთი „ნეზავისიმაია გაზეტას" პუბლიკაციის გამო

დსთ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე საქართველოს დელეგაციამ გაზეთ „Независимая газета"-ში გამოქვეყნებული სტატიის „СНГ: начало и конец истории?" ოფიციალური შეფასება მოითხოვა. საქართველოს დელეგაციის აზრით, აღნიშნა პრეზიდენტის პრეს-მდივანმა ვახტანგ აბაშიძემ, იგი შეურაცხმყოფელია თანამეგობრობის ყველა წევრი ქვეყნისათვის. დსთ-ის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს ამ პოზიციას.

* * *

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გააკეთა საგაზეთო სტატიის „СНГ: начало и конец истории?" შესახებ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ანონიმური ავტორები ამ სტატიით შუღლის ჩამოგდებას ცდილობენ რუსეთსა და თანამეგობრობის სხვა ქვეყნებს შორის. კერძოდ, ეს ეხება რუსეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობებს, - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

* * *

საქართველოში, კერძოდ თბილისში, ვითარების დესტაბილიზაციის საშიშროება იგრძნობა - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის პრეს-მდივანმა ვახტანგ აბაშიძემ. მისი აზრით, რუსულ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია „СНГ: начало и конец истории?" მიანიშნებს, რომ რუსეთში გარკვეული ძალების ინტერესებში შედის ეს და სავარაუდოა, რომ მიზნის მისაღწევად ადგილობრივ ძალებსაც გამოიყენებენ. საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამდივნომ აღნიშნული სტატიის შესახებ განცხადება გააკეთა. (ბი ჯი აი)

## საქართველო დესტაბილიზაციის საფრთხის წინაშე დგას

გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ ზ. ჟვანიამ პრეს-კონფერენცია გამართა, რომელზეც ამ დღეებში „ნეზავისიმაია გაზეტაში" გამოქვეყნებულ სტატიას შეეხო. სტატიის ავტორები, ზ. ჟვანიას თქმით, რუსეთის გარკვეულ ძალებს აძლევენ კონკრეტულ სამუშაო გეგმას, რათა რუსეთმა შეინარჩუნოს ჰეგემონის როლი ამიერკავკასიაში. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ამ დოკუმენტზე ყურადღების გამახვილება გამოიწვია საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესებმა, რომელიც სტატიაში აღნიშნული გეგმის მიხედვით ვითარდება. „საქართველო შედის განვითარების იმ სტადიაში, როცა რეალურად შეიძლება გადაწყდეს ქვეყნის დამოუკიდებლობის ბედი", - განაცხადა ჟვანიამ. მისი თქმით, ამის წინაპირობაა წარმატებით მიმდინარე ეკონომიკური რეფორმა, დემოკრატიული ინსტიტუტების თანმიმდევრული განვითარება და საერთაშორისო პროექტების განხორციელება (იგულისხმება ნავთობის მაგისტრალის მშენებლობა). მისივე თქმით, დღეს არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ მსოფლიოს უმდიდრესი ნავთობის საბადოებისაკენ უმოკლესი გზა საქართველოზე გადის და სწორედ ეს არის საქართველოსადმი გაზრდილი ინტერესების მიზეზი. ქვეყნის განვითარების შეჩერების ერთადერთი გზა დესტაბილიზაციაა და როგორც ჟვანიამ განაცხადა, მას საკმაოდ დიდი სია აქვს იმ პიროვნებებისა, ვინც დაინტერესებულია ამ საკითხით. თუმცა, ჟვანიას განცხადებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში გასცემს ინფორმაციას, თუ ქვეყანას რეალური საფრთხე დაემუქრება.

როგორც ზ. ჟვანიამ განაცხადა, იგი სამიტისაგან რევოლუციურ ცვლილებებს არ ელის, მაგრამ იმედი აქვს, რომ გაირკვევა სამშვიდობო ძალების მოქმედების არეალის გაფართოებისა და მათი დისლოკაციის ადგილის (ენგურიდან - ღალიძგამდე) შეცვლის, ასევე აფხაზეთში ეკონომიკური ბლოკადის შენარჩუნების საკითხები. მისი თქმით, თუ ეს მაინც არ გადაწყდა სამიტზე, საქართველოს პარლამენტი განიხილავს არა მარტო სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის, არამედ რუსეთ-საქართველოს სამხედრო-სტრატეგიული ურთიერთობის საკითხს კომპლექსში. (იპრინდა)

# XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# დავით კლდიაშვილი

## „ქამუშაძის გაჭირვება“

### განხილვა

ნოდარ გრიგალაშვილი

ჩვენ მიჩვეული ვართ იმას, რომ მწერალი მხატვრულ ნაწარმოებში ამა თუ იმ პრობლემას კონკრეტული პერსონაჟის, ან პერსონაჟთა ცხოვრების ფონზე წარმოაჩენს. წყვლა-კრულვიანი საკითხი, რომელიც საფუძვლად უდევს დავით კლდიაშვილის განსახილველ თხზულებას, ნაწარმოების სათაურშივეა გამოტანილი. ეს საკითხი, ეს დაწყევლილი პრობლემა გახლავთ გაჭირვება, სოციალური ბედუკუღმართობა. „ქამუშაძის გაჭირვება“ ამ თხზულებას იმდენად ჰქვია, რამდენადაც მოთხრობის მთავარი გმირია ახალგაზრდა გაჭირვებული აზნაური, - სახელად ოტია, გვარად ქამუშაძე, მაგრამ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ოტია ქამუშაძის ცხოვრების აღწერა მხოლოდ ფონია, მხოლოდ კონკრეტული მაგალითია საყოველთაო სილატაკის საჩვენებლად. ამიტომ დავით კლდიაშვილის აღნიშნულ მოთხრობას, ისე, როგორც ყველა მის ნაწარმოებს, ერთი საერთო სათაური შეიძლება „დაენათლოს“ - „ცხოვრება მიუსაფართა და გაჭირვებულთა“.

დიახ, დავით კლდიაშვილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალი დროის თავისებური „აგიოგრაფია“ იმ განსხვავებით, რომ მაღალი იდეალებისათვის მარტვილ წმინდანთა ცხოვრებას კი არ აღწერს, არამედ ჩვეულებრივ, რიგით ადამიანთა არსებობისათვის ბრძოლასა და წამებას.

ადამიანი, რომელიც მაღალი იდეისათვის მარტვილობს, ინარჩუნებს, იძენს და სრულყოფს ყოველგვარ სიწმინდეს, მაღალ ადამიანურ თვისებებს. ხოლო მოქალაქენი, რომელნიც, უბრალოდ, ფიზიკური ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე დგანან, რომელთაც კუჭი უხმებათ შიმშილით და ემუქრებათ შიმშილით სიკვდილი, მთელი ცხოვრება მარტვილობენ, მთელი ცხოვრება ეწამებიან. ეს წამება ყველა სხვა ტანჯვაზე უფრო მტანჯველია და გულისმომკვლელი, რადგან ამ ტანჯვაში ისინი ვერაფერს იძენენ. დაკარგვით კი ჰკარგავენ ყველაფერს იმას, რაც ადამიანს ადამიანად ქმნის.

„ქამუშაძის გაჭირვება“ 1900 წელს დაიბეჭდა. ნაწარმოებში დასმულია მწვავე სოციალური პრობლემა. ეს პრობლემა დღესაც, თითქმის საუკუნის შემდეგაც არანაკლებ აქტუალურია თანამედროვე ქართველი მკითხველისათვის. ამდენად, თუ თხზულება მთელი სიმძაფრით განიცდება თანამედროვე მკითხველისაგან, ნაწარმოების მაღალმხატვრულ ღირსებებთან ერთად, ამაში ლომის წილი უდევს თვით პრობლემის აქტუალობასა და თანადროულობას.

ქამუშაძის გაჭირვება არ არის მხოლოდ ისტორიისაგან გარიყულ კლასზე, „შემოდგომის აზნაურებზე“ დაწერილი მოთხრობა. მწვავე სოციალური სურათის ნეგატივზე აზნაურიცა და გლეხიც ერთნაირად უბადრუკ მდგომარეობაშია აღბეჭდილი, იმ განსხვავებით, რომ ოდესღაც მაძღარი, ახლა კი ახალ პირობებთან „შეგუებული“ აზნაური, უფრო გასაცოდავებული გამოიყურება.

დავით კლდიაშვილის უმთავრესი თემაა არა ცალკე აზნაურის, ან ცალკე გლეხკაცის, არამედ, საზოგადოდ, ადამიანის შეჭირვებული ყოფის ასახვა.

შიმშილით სული ძვრებათ არა მარტო აზნაურებს - ქამუშაძეებს, ქველიძეებს, სანიკიძეებს, ქუთათელაძეებს და სხვებს, არამედ გლეხკაცთაც.

ყველას ოჯახში ერთნაირი „მდუღარე დუღს“. ყველა სასოწარკვეთილია.“ მთელი სოფელი შეწუხებული იყო, - ვკითხულობთ მოთხრობაში, - შიმშილობა კარზე მომდგარი იყო. ყოველი მხრიდან გულის ამრევი ამბები ისმოდა. ჭირნახულის ფასი დღე-ღამეზე მატულობდა. ხელმოკლე სოფლელებისათვის მიუწვდომელი ხდებოდა სარჩოს ყიდვა. ერთ დღეს ხმა გავარდა, რომ თამარაშენის ზემო კუთხის გლეხი, პავლია მერაბიძე, ისე გამწარდა, რომ თავის ჩამოხრჩობა მოინდომა შიმშილის გამო, და ცოცხალ-მკვდარი ბაწრიდან ჩამოიღეს, - დროზე მიუსწროთ. რამდენიმე კაცი, კიდევაც ახსენებდნენ, - სოფლიდან წასულიყო სამათხოვროდ ქალებით და ბავშვებით“.

ამ საზოგადო გაჭირვების წარმოდგენის შემდეგ, ცხადია, არ შეიძლება ვთქვათ, რომ დავით კლდიაშვილის სამყაროში მხოლოდ გალატაკებული აზნაურები გმინავენ, გლეხებს კი, როგორც უფრო მშრომელებსა და ამტანთ, ულხინთ. არა, ასე არ გახლავთ საქმე. თუმცა გლეხობასა და აზნაურებს შორის დაპირისპირებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი და ეს პროცესი ასახა კიდეც დავით კლდიაშვილმა, მაგრამ რა კუთხით და როგორ, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი, შესავალშივე, ერთი რამ უნდა განვაცხადოთ: დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა და მათ შორის „ქამუშაძის გაჭირვების“ ძირითადი თემაა არა კლასობრივი ანტაგონიზმის ჩვენება, არამედ ის, თუ რა სჭირს, როგორი ხდება ადამიანი, როგორი ხდება საზოგადოება შიმშილის, გაჭირვების, ეკონომიური სიდუხჭირის ჟამს.

### რა სჭირს ადამიანს

სოციალურად ავადმყოფი საზოგადოება ავადმყოფ ადამიანებს შობს. „ქამუშაძის გაჭირვების“ მიხედვით, პირველი, რაც ასეთ საზოგადოებაში თვალში საცემია, არის ტოტალური გაუცხოება. გაუცხოება, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანთა წოდებრივი, ქონებრივი, ზნეობრივი, გონებრივი სხვადასხვაობა. უფრო მეტიც, ასეთ საზოგადოებაში შესაძლოა ადამიანები ერთი წოდების წარმომადგენლებიც იყვნენ, თანაბარი ქონების, ზნეობისა და გონების პატრონნი, მაგრამ მათ შორის მაინც სრული გაუცხოება სუფევდეს, რადგან გაჭირვებულ ადამიანებს ერთმანეთისთვის არ სცალიათ… ადამიანი, ბუნებისა და საზოგადოების ნაწილი, წყდება ბუნებასა და საზოგადოებას და საკუთარ თავში გამოკეტილი, თავის მძიმე ფიქრებთან დარჩენილი სრულ მარტოობას განიცდის. ასეთ იძულებით მარტოობაში, ერთი შეხედვით, თვინიერად გამოკეტილი ადამიანი ხაფანგში გაბმულივით წრიალებს, საკუთარ თავს აწყდება, ბორგავს, ნერვიულობს და მგელივით აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, თუ ვის მიუხტეს, ვის წაგლიჯოს, ვინ გააუბედუროს, რომ თავისი დაწყევლილი ცხოვრება ცოტა მაინც გამოასწოროს. გადარჩენის ინსტინქტით მცხოვრები კაცი მხეცი ხდება და იმარჯვებს ის, ვისაც შეუძლია მოხერხებულად, სხვათა შეუმჩნევლად მოირგოს მხეცის ნიღაბი. მოხერხებულად და შეუმჩნევლად, რადგან სხვებმა ეს არ უნდა შენიშნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სხვები აღარ გაცუცურაკდებიან, აღარ მოტყვილდებიან.

საყოველთაო გაჭირვების ჟამს მეზობელი მეზობელს არ ინდობს, ძმა - ძმას, დედა - შვილს, შვილი - დედას.

ასეთ შემზარავ სურათს ხატავს მწერალი „ქამუშაძის გაჭირვებაში“.

და ბოლოს, ყოველივე ამას ემატება შელახული თავმოყვარეობის გამო ძლიერი სულიერი ტანჯვა, რისგან „თავის დაღწევა“ ისევ გაუცხოებით ხდება. ადამიანი გაურბის საკუთარ თავს, არ სურს დაინახოს თავისი რეალური მდგომარეობა, არ სურს შეეგუოს თავის ყოფას და ცდილობს თავი წარმოგვიდგინოს არა იმად, რაც არის, არამედ ისეთად, როგორიც სურს იყოს. ამით კი იგი ემსგავსება იმ სირაქლემას, რომელსაც თავი ქვიშაში ჩაურგავს, შეუმჩნეველი რომ გახდეს…

იმდენად დიდია კლდიაშვილის გმირებში ადამიანურად ცხოვრების ჟინი, რომ ოდესღაც მართლა არსებული, მაგრამ ახლა მხოლოდ ოცნებებში გამონაკვთული სასურველი ყოფა, რეალურად ეჩვენებათ. მათთვის დარღვეულია ზღვარი ილუზიურსა და ნამდვილს შორის. ის, რაც სურთ იყონ, ჰგონიათ, რომ მართლა არიან. ეს არის თავისებური გაქცევა სინამდვილიდან, ზურგის შექცევა, პროტესტი მკაცრი რეალობის მიმართ. ამ თვითდაჯერებას, ასეთ თვითდარწმუნებას ისინი განიმტკიცებენ ტრაბახით, ბაქიაობით, ამპარტავნობით. იმდენად გათავისებული აქვთ სასურველი როლი, რომ ჰგონიათ, ეს როლი კი არა, მათი ნამდვილი სახეა და ცხოვრობენ ასე, - „კმაყოფილნი“. ეს გამაოგნებელი „კმაყოფილება“ აქცევს მათ კომიკურ პერსონაჟებად. ეს „კმაყოფილი“ გმირები მკითხველში იწვევენ სევდანარევი ღიმილის გრძნობას. დროდადრო კი ცხოვრება მთელი თავისი სიმკაცრით წამოიფოფრება და კლდიაშვილის პერსონაჟთა კმაყოფილებას ერთი დაკვრით აცამტვერებს. სასურველი როლით, სინამდვილედ წარმოდგენილი ილუზიებით მცხოვრებნი, ამ დროს უბრუნდებიან საკუთარ თავს და ხაფანგში გაბმულებივით წრიალებენ. სულის სიღრმემდე შესძრავთ თავიანთი ყოფის ტრაგიკული განცდა, მაგრამ გამოსავალი მათთვის არ ჩანს.

ტოტალური სიღარიბე და გაჭირვება ადამიანს შლის, ანადგურებს სულიერად და ზნეობრივად. მისთვის აღარ არსებობს მეგობრობა, სიკეთე, სიყვარული, სინდისი.

„ქამუშაძის გაჭირვებაში“ მავანი თხოვდება, მავანს ცოლი მოჰყავს, მაგრამ ამ ნაწარმოებში თქვენ ვერ ნახავთ პერსონაჟებს, რომელთაც სიყვარულით უთრთით გული. სიყვარული კლდიაშვილის სამყაროდან გაძევებულია, რადგან ლუკმა-პურის მოსაპოვებლად გამთენიიდან დაღამებამდე ყანაში ჩამდგარ, წელში გალუნულ ადამიანებს სულის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არ ცალიათ, მათ ცხოვრებას კუჭი განაგებს, მშიერი კუჭი. დამშეული ადამიანი კი საშიშია, დაუნდობელი. აი, იმ საფიქრალთა წყება, რომელსაც აღძრავს „ქამუშაძის გაჭირვება“. ზოგადად, ყოველივე ეს ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

უბედურია ქვეყანა, სადაც უპირველესი პრობლემა კუჭის პრობლემა, არსებობისათვის ბრძოლაა.

უბედურია დამშეული საზოგადოება, ცოდვიანია, უსიყვარულო და გაუტანელია იგი. ასეთ საზოგადოებაში ნიჭიერიც ის არის, ძლიერიცა და კეთილდღეობაში მყოფიც, ვინც რიგით მატყუარებზე უფრო მეტი მატყუარაა, ვინც ყველაზე გაქნილი და მოხერხებულია.

„ქამუშაძის გაჭირვება“, როგორც ვთქვი, 1900 წელს დაიბეჭდა. საუბედუროდ, ყველა ზემოთნახსენები პრობლემა დღევანდელი დღის პრობლემაც არის.

ახლა კი ცალ-ცალკე წარმოვადგინოთ ის საკითხები, რომელნიც „ქამუშაძის გაჭირვების“ სიუჟეტშია ჩაფენილი.

### გაუცხოება წოდებათა შორის

თამარაშენში, კანცელარიის წინ, შაბათობით იკრიბებოდნენ გლეხები და ღარიბი აზნაურები. ეს ხალხი არაფრით განირჩეოდა ერთმანეთისაგან. თითოეული მათგანის ჩაცმულობა და დაღვრემილი სახე მათ სიდუხჭირეს ადასტურებდა. მაგრამ აზნაურებს სისხლსა და ხორცში გამჯდარი უპირატესობის გრძნობა უბიძგებდათ განკერძოებულიყვნენ. მათ აქ ცალკე ადგილი ჰქონდათ არჩეული, - ამ ცაცხვს, რომლის ქვეშაც ჯდომა იცოდნენ, „აზნაურების ცაცხვი“-ს სახელიც კი დაერქვა. ეს მცირე დეტალი ზუსტად ხატავს წოდებათა ურთიერთობის სურათს. ერთნაირად დამშეულ აზნაურსა და გლეხს შორის, ნაცვლად იმისა, რომ თანალმობის ხიდი გაიდოს, შეუვალი კედელი აღმართულა. აზნაური გლეხს არ კადრულობს, მასთან ჯდომას და მუსაიფს თაკილობს.

ასეთი ამპარტავნობა კი მეტისმეტად კომიკური ჩანს გალატაკებულ აზნაურთა ცხოვრების ფონზე. აზნაურები იძულებულნი არიან ისევე თავდაუზოგავად ებრძოლონ მიწას, როგორც გლეხი შრომობს. ოტია ქამუშაძე გამთენიიდან გადის ყანაში და ზედ აკვდება სახნისს, ისე, როგორც მის მეზობლად მისსავე დღეში მყოფი აზნაურები და გლეხები. ასეთ დროს ოტიას „ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა: თავისი წოდებაც, გვარიშვილობაც, სიამაყეც. იგი იყო მუშა, გულმოდგინე, თავდაუზოგველი მუშა“.

ერთხელ ამ ყოფაში ნახა ოტია მისმა ახლადშერთულმა მეუღლემ. შეურაცხყოფილ აზნაურის ქალს ბოლომდე გული გაუსივდა. „იგი თავისი თვალით ხედავდა, ამ წამში, ამხანად, მისი ქმარი, სახელად ოტია, გვარად ქამუშაძე, წოდებით აზნაური, იყო ნამდვილი გლეხი, მუშა გლეხი, ყოველი მხრივ ისეთივე გლეხი, როგორც აი, გადაღმა ყანაში მომუშავე პეტრია დინარაძე…

გულმოკლული, დაღონებული, გარეტიანებული დაბრუნდა სონია სახლში და თვალწინ მოუშორებლად უდგა მისი ქმარი - გლეხი, ყაზახი გარეგნობით, შეხედულებით, საქციელით, მოქმედებით და შეძლებით… შეძლებითაც“.

როგორც ვხედავთ, შრომა, გლეხივით შრომა, აზნაურისათვის სულის სიღრმემდე შემძვრელი და შეურაცხმყოფელია, მაგრამ სხვა გზა არ აქვს, სხვა გამოსავალი არ ჩანს, უნდა „გაყაზახდეს“ და მიწის მუშად იქცეს. აკი ასეც ხდება, მაგრამ აზნაურობას, ბატონობას მაინც ვერ ივიწყებს და კუდაბზიკობა სასაცილო დღეში აგდებს.

ოტიას ბიძა, ლევან ქამუშაძე შიმშილით მოკვდა, „გოგო“ ოტიასთან შემოირბენს და ყვირის: არიქათ, გვიშველეთ, ბატონი კვდება, ბატონიო.

შიმშილით კაცს სული ძვრება, მას კი ისევ „ბატონად“ იხსენიებენ. ეს ერთადერთი სიტყვა მთელი სისრულით ხატავს აზნაურთა ტრაგიკომიკურ ყოფას. ხომ ასე გაჭირვებულია ოტია და მისი ოჯახი და მაინც, როდესაც სონია შეიტყობს, რომ ოტიას სურს შეძლებულ გლეხს, სამადაძეს მოანათვლინოს შვილი, შეურაცხყოფისაგან გადაირევა. გლეხთან დანათესავება მისთვის უბედურების ტოლფასია.

როგორც იქნა, სონია დაიყოლიეს. სამადაძეს ბავშვი მოანათვლინეს.

ნათლობის სუფრაზე თანამეინახენი ერთმანეთს აუშარდნენ. გამობრუჟული, აბანცალებული სამადაძე მოჩხუბართა გაშველებას მოინდომებს და აჭინჭყლებულ აზნაურს, ბესარიონ ქამუშაძეს აჩუმებს.

- გაწყინა პატივისცემამ, ყაზახო?! - წამოენთო აზნაური და გულმოსულმა მუშტი წაჰკრა „გათავხედებულ“ გლეხს.

- ყაზახი ვარ! - შეჰყვირა სამადაძემ, - ყაზახი ვარ, მარა შენისთანა შემოდგომის აზნოურიშვილს კიდევ ვჯობივარ!

ამ „შემოდგომის აზნაურის“ ხსენებამ ბევრი ააპილპილა.

- გააგდეთ მაგ… გააგდეთ მაგ ქინქლიანი ყაზახი!…

ოტიას ოჯახს როცა უკიდურესად გაუჭირდა, როცა ცივი ჭადიც სანატრელი გაუხდა, ამპარტავანი ეკვირინე იძულებული გახდა „ქინქლიან ყაზახს“ სამადაძეს მისდგომოდა და მისთვის ეთხოვა სიმინდი. გლეხმა უარი არ უთხრა, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ღამით, ჩუმად გადაუტანა, მეზობელს რომ არ დაენახა და ქამუშაძეებს სოფელ-ქვეყანაში თავი არ მოსჭროდათ…

აი, ასე თავალერილნი დაჰყურებდნენ „შემოდგომის აზნაურები“ მეზობელ გლეხებს. გაჭირვებას, ერთ ბედქვეშ ყოფნას ისინი თითქოს უნდა დაეახლოვებინა, წოდებრივი განსხვავებულობის უკვე ბალავარგამოცლილი კედელი უნდა მოერყა და დაენგრია, მაგრამ ასე არ მოხდა. სილატაკე, როგორც ჩანს, ადამიანთა თანალმობის საფუძვლად ვერ იქცევა, პირიქით, იგი უფრო თიშავს და აბოროტებს სხვადასხვა წოდების ადამიანებს. მაგრამ იქნებ ერთი წრის წარმომადგენლებს ჰკრავს ერთ მუშტად საერთო სატკივარი, იქნებ თვით აზნაურები პოულობენ ერთურთთან საერთო ენას? არა და არა. ერთი და იმავე წრის წარმომადგენლები კიდევ უფრო გულდახშულნი არიან ერთმანეთის მიმართ. „ქამუშაძის გაჭირვებაში“ შესაბამისი მაგალითები სანთლით საძებნელი არ გახლავთ.

გაგრძელება იქნება

## ხარჯები გაიზარდა თავდაცვის სფეროში

გასულ წელს საქართველოს ხარჯების ნაწილის გაზრდამ მოუწია თავდაცვის სფეროში. 1996 წლის ბიუჯეტის შესრულებაზე მთავრობის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დამტკიცებული 65 მილიონი ლარის გარდა დამატებით გამოიყო 5 მილიონი. ეს თანხა მოხმარდა თავდაცვის სფეროს სოციალურ ღონისძიებებსა და ხელფასებს. 3,1 მილიონი ლარით გადააჭარბა გეგმას სამართალდამცავ ორგანოებზე გაწეულმა ხარჯებმა – მან სულ 70.2 მილიონი ლარი შეადგინა. (ბი ჯი აი)

## «სამიტის იმედი არა გვაქვს»

საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის, „ქართია-91"-სა და კონსერვატიული პარტიის ლიდერთა პრეს-კონფერენციაზე ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარის კ.ასათიანის განცხადებით, აღნიშნული პარტიები გამოეყვნენ საქართველოს დეოკუპაციის კომიტეტს, ერთი მიზეზით –– „ჩვენ აღარ გვინდა აღმოვჩნდეთ სიურპრიზების წინაშე". როგორც პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, აღნიშნული პარტიების ლიდერები უიმედოდ უყურებენ სამიტის გადაწყვეტილებას და ელიან პარლამენტის მიერ 3 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც აფხაზეთის საკითხს ეხება. პარტიის ხელმძღვანელები, 9 აპრილს, ღამის 4 საათზე, ტრადიციულად გამართავენ დიდ მიტინგს დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად. (იფრინდა)

## მიეძღვნება გამსახურდიას დაბადების დღეს

მიმდინარე წლის 31 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში გაიმართება ზვიად გამსახურდიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი მიტინგი. მიტინგის ორგანიზატორია კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ფრონტი. ფრონტის წევრების აზრით – ზვიად გამსახურდია საქართველოს ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტია. მიტინგის მიზანია საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე ხალხის ნების – თავისუფლების სურვილის კიდევ ერთხელ გამოხატვა. (ბი ჯი აი)

## მრეწველობა კვლავ კრიზისშია

მიუხედავად გარკვეული ძვრებისა ქვეყნის ეკონომიკაში, მაინც ვერ ხერხდება საქართველოს მრეწველობის გამოყვანა კრიზისიდან – ნათქვამია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მთავრობის სხდომისთვის წარდგენილ ანგარიშში 1996 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. ამასვე ადასტურებს საქართველოს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ინფორმაციაც, რომლის მიხედვით, გასული წლის ბიუჯეტში ქვეყნის საშუალო და მსხვილმა საწარმოებმა მხოლოდ 13,1 მილიონი ლარი გადარიცხეს. ეს მაშინ, როცა 10 სატრანსპორტო ორგანიზაციიდან შემოვიდა 15,3 მილიონი ლარი, ხოლო 22-მა სავაჭრო და სერვისის ობიექტმა შემოიტანა 7,9 მილიონი. (ბი ჯი აი)

# დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა: ისტორიის დასაწყისი თუ აღსასრული?

მეოთხე გვერდიდან

ვნელობა და ამისთვის იმოწმებს კასპიის ზღვის სამართლებრივი რეჟიმის გაურკვევლობას, რუსეთის ნავთობის კომპანია „ლუკოილის" მონაწილეობა ამ სუპერპროექტებში ფაქტობრივად ახდენს კასპიის ზღვის სტატუსის საკითხში რუსეთის ოფიციალური პოზიციის დეზავუირებას; მესამე, ვერ მოხერხდა თავიდან აგვეცილებინა დასავლეთის უძლიერეს კომპანიათა დიდი ფულით რეალური მოსვლა აზერბაიჯანში, რაც, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს რუსეთის როლისა და გავლენის შესუსტებას რეგიონში.

ამას მოჰყვა რუსეთის მეორე, ასევე დრამატული დამარცხებანი რეგიონში. რუსეთმა გრძელვადიანი თვალსაზრისით წააგო ბრძოლა ნავთობსადენებისათვის.

ამრიგად, შეიქმნა სრულიად ახალი სიტუაცია რუსეთისათვის კასპიის ნავთობის „სუპერპროექტების" რეალიზაციის კონტექსტით (და არა მარტო ამიერკავკასიაში). ნავთობის კონტრაქტს (მოპოვება და ტრანსპორტირება) შეუძლია, უცხოელ ინვესტორთა ფულის წყალობით, გააერთიანოს შუა აზიისა და ამიერკავკასიის მეტი წილი ქვეყნები ანტირუსეთულ საფუძველზე. დასავლელი გეოსტრატეგოსებისათვის შექმნილი სიტუაცია სცილდება წმინდა სანავთობო გარიგების ფარგლებს. პირველად იქმნება რეალური შესაძლებლობა, ისარგებლონ რუსეთის სისუსტით, რათა: ა) ეკონომიკურად დამკვიდრდნენ რუსეთისათვის ამ გეოპოლიტიკურად უაღრესად მგრძნობიარე ზონებში; ბ) ხელი შეუწყონ ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ჰორიზონტალურ კონსოლიდაციას, ერთმანეთზე ორიენტირებულ ახალ საკომუნიკაციო არტერიათა გარშემო და ამით წაართვან რუსეთს ტვირთნაკადის კონტროლის საშუალება; გ) ინვესტიციის მეშვეობით ხელი შეუწყონ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სუსტი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას; დ) შექმნან მძლავრი ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთის წინააღმდეგ და ყოველივე ამის შედეგად, მრავალი ათწლეულის, შესაძლოა, საუკუნეების მანძილზე გამოდევნონ რუსეთი ამიერკავკასიიდან და ცენტრალური აზიიდან.

ახლა ვნახოთ, რა სუსტი ადგილები აქვთ საქართველოსა და აზერბაიჯანს, როგორც ანტირუსეთული ტაშკენტ-ბაქო-თბილის-კიევის ღერძის მთავარ რგოლებს. სპეციალისტებს ახსოვთ, რომ აზერბაიჯანი და საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შევიდნენ მას შემდეგ, რაც განიცადეს სერიოზული კრახი თავიანთ ჩამოყალიბებაში, იწვნიეს მძიმე სამხედრო დამარცხება და დაკარგეს ტერიტორიები. მას შემდეგ ისინი ცდილობენ გამოიყენონ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან და, უწინარესად, რუსეთთან კავშირ-ურთიერთობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში თავიანთი პრობლემების გადასაწყვეტად. საქართველომ და აზერბაიჯანმა სცადეს შეემუშავებინათ რუსეთის მიმართ ისეთი საგარეო-პოლიტიკური სტრატეგია, რომლის თანახმად, ერთი მხრივ, შესაძლებელი გახდებოდა აეძულებინათ რუსეთი დახმარებოდა მათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, ხოლო მეორე მხრივ – გამოეყენებინათ საერთაშორისო პოლიტიკური ინსტიტუტები და საზოგადოებრიობა რუსეთის გავლენის კომპენსირებისა და მისგან თავიანთი დამოუკიდებლობის გარანტირებისათვის. ამავე დროს ამ ქვეყნებმა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა გამოიყენეს იმისათვის, რომ რუსეთს არ მისცემოდა ანტირუსეთულ საფუძველზე ამ სახელმწიფოთა კონსოლიდაციის დაუშვებლობისათვის უფრო აქტიური მოქმედების საბაბი. რეგიონში რუსეთის აქტიურობის ნეიტრალიზაციით მათ ყოველნაირად შეუწყვეს ხელი ეთნიკური კონფლიქტების ინტერნაციონალიზაციის პროცესს, რაც აკნინებდა რუსეთის საშუამავლო როლს... უცხოური კაპიტალის მოზიდვით კასპიის სუპერპროექტების რეალიზაცია დაეხმარა ამ ქვეყნებს მოეპოვებინათ დასავლეთის უფრო აქტიური მხარდაჭერა სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში თავიანთი პრობლემების გადასაწყვეტად.

ალიევი და შევარდნაძე ჯერჯერობით წარმატებით ახორციელებენ თავიანთ გეზს, ოსტატურად სჯაბნიან რუსეთის დიპლომატიას, რომელმაც ამიერკავკასიის მიმართულებით ბოლო წლებში, და განსაკუთრებით ჩეჩნეთის ომის დაწყების შემდეგ, მთლიანად დაკარგა როგორც ინიციატივა, ასევე ორიენტირებიც. ამ ბოლო დროს დაინტერესებული ამიერკავკასიის ქვეყნების წრე ცდილობს შექმნას მოსკოვში სრულიად მცდარი წარმოდგენა რეგიონში რუსეთის ინტერესების შესახებ. მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში აყენებენ საკითხს ამიერკავკასიიდან რუსეთის საბოლოოდ წასვლის და სომხეთის ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების ევაკუაციის შესახებ. ამასთანავე ამტკიცებენ, რომ საქართველოსთან და აზერბაიჯანთან გრძელვადიან საფუძველზე კარგი ურთიერთობის დამყარება რუსეთს შეეძლება მხოლოდ მაშინ, თუ გააძლიერებს თავის ზეგავლენას ყარაბაღსა და სომხეთზე, აფხაზეთზე, და ამით დაეხმარება აზერბაიჯანსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში.

ამრიგად, ამიერკავკასიაში რუსეთის ახლანდელი პოლიტიკა კრიზისულ ზღვარს მიუახლოვდა. რუსეთის წინაშე დგას დილემა: ან დაეთანხმოს შევარდნაძის, ალიევის, თურქეთისა და დასავლეთის ლოგიკას და სამუდამოდ წავიდეს ამიერკავკასიიდან, შემდეგ კი ჩრდილოეთ კავკასიიდანაც (ჩეჩნეთის შემდეგ მოსკოვმა უახლოეს ხანს შეიძლება დაკარგოს ინგუშეთი და დაღესტანი. „შემდეგ კი, – როგორც სატირიკოსი ამბობს, – ასევე იქნება ყველა გაჩერებაზე"), ანდა, ბოლოს და ბოლოს, ისარგებლოს არსებული შესაძლებლობით ამ რეგიონში თავისი ყოფნისა და გავლენის შენარჩუნებისათვის.

მეორე ვარიანტის არჩევისას რუსეთმა აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი აზერბაიჯანსა და საქართველოში ანტირუსეთულად განწყობილი ძალების პოზიციის შესუსტებას და ამავე დროს დემონსტრაციულად გააძლიეროს თავისი ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ყოფნა სომხეთში, სანამ დასავლეთსა და ამ რესპუბლიკის მეზობელ ქვეყნებს არ გამოუნახავთ საშუალება, როგორ შეაცვლევინონ ორიენტაცია ერევანს დასავლეთისაკენ. დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას აფხაზეთის ბლოკადა (ამას დიდი მნიშვნელობა აქვს საშინაო-პოლიტიკური მიზნებისთვისაც. უნდა გამოიძებნოს საიმისო სტიმულები, რომ არ იყოს დაშვებული რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანება პროჩეჩნეთურ საფუძველზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩეჩნეთის ხელმძღვანელობას უკვე საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებულ ურთიერთობათა დამყარება საქართველოსთან – ჩეჩნეთის ერთადერთ გარე მოსაზღვრესთან, აფხაზეთის ბლოკადის მოხსნა, ხოლო შემდეგ მისი ეკონომიკური აღორძინების ღონისძიებანი საშუალებას მოგვცემს გავაერთიანოთ მთელი არავაინახური ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის პოლიტიკის მიზნების გარშემო საქართველოს ხარჯზე), ხელი შევუწყოთ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთს შორის ურთიერთობის განმტკიცებას, წავაქეზოთ სეპარატისტული ტენდენციები აჭარაში. გარდა ამისა, შესაძლოა ვაგრძნობინოთ ერევანს, რომ თუ საქართველო განაგრძობს ანტირუსეთულ გეზს, სომხეთი შეძლებს დე-ფაქტო შემოიერთოს რეგიონი, რომელიც ცნობილია სომხურად „ჯავაქკ"-ის და ქართულად – „ჯავახეთის" სახელწოდებით. გავაჭრეინოთ შემდეგ დერეფანი, რომელიც უზრუნველყოფს სომხეთის პირდაპირ კომუნიკაციებს რუსეთთან. საქართველოს ესოდენ სერიოზული დესტაბილიზაციის საფრთხე, რომელიც განმტკიცებული იქნება რუსეთის იმ გადაწყვეტილების დემონსტრაციით, რომ ბოლომდე ივლის იმ გზით, სერიოზული გამომაფხიზლებელი ფაქტორი გახდებოდა საქართველოს ახლანდელი ხელმძღვანელობისათვის.

რაც შეეხება წინააღმდეგობის გაწევას აზერბაიჯანის იმ ძალისხმევისათვის, რომ გამოაძევოს რუსეთი რეგიონიდან, საჭიროა აქაც უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ მოსკოვის ხელთ არსებული რესურსები. ჯერ ერთი, უნდა შევინარჩუნოთ სომხეთის არმიის სამხედრო უპირატესობა აზერბაიჯანის არმიასთან შედარებით; მეორე, სტიმული მივცეთ გაყოფილი ლეკი ხალხის გაერთიანების პროცესს, რაც მაშინვე შექმნის ახალ სიტუაციას ჩრდილოეთ აზერბაიჯანსა და დაღესტანში, სადაც ჩეჩნეთის არჩევნების შემდეგ რთული მდგომარეობა შეიქმნა. ბიძგი მივცეთ აზერბაიჯანის ფედერალიზაციას, და ბოლოს, აქტუალური გავხადოთ ტალიშის ავტონომიის პრობლემა. ყველა ამ ფაქტორმა ერთად ისეთი სიტუაცია უნდა შექმნას, როცა ნავთობის მოპოვებასა და ტრანსპორტირებაში კაპიტალდაბანდებათა რისკი უზომოდ დიდი იქნება. სომხეთის გარდა, რეგიონში რუსეთის მოკავშირე შეიძლება გახდეს ირანიც, რომელსაც, მართალია, თავისი საკუთარი ინტერესები აქვს, მაგრამ შინა, ეთნიკური პრობლემებისა და საერთაშორისო იზოლაციის გამო შეიძლება დასჯერდეს რუსეთის სტრატეგიული პარტნიორის როლს.

დასასრულ, ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამჟამად მხოლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანში ვითარების დესტაბილიზაციის პერსპექტივას შეუძლია თავიდან აგვაცილოს სახელმწიფო ხელისუფლების კონსოლიდაცია ამ რესპუბლიკაში ანტირუსეთულ საფუძველზე. მხოლოდ მაშინ შევძლებთ რეგიონში დიდი ფულის შემოსვლის ბლოკირებას და მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ თავიდან ავიცილოთ რუსეთის საბოლოოდ გამოდევნა ამიერკავკასიიდან და მსოფლიოს ამ ნაწილში შექმნილი წონასწორობის დარღვევა.

## ირაკლი ქადაგიშვილი: „ეს კიდევ ერთხელ მოწმობს მინისტრისა და ხელისუფლების უსუსურობაზე"

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა პრეს-კონფერენცია გამართეს. კორესპონდენტი ნანა მიშელაშვილი მოგვითხრობს:

როგორც პარტიის პოლიტსაბჭოს მდივანმა ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებენ, რომ რეალურ ძალებს საქართველოში მდგომარეობის დესტაბილიზირება შეუძლიათ. რა ძალებია ესენი? ქადაგიშვილის თქმით, ხელისუფლება დაბალანსებულ პოლიტიკას უნდა ატარებდეს, მაგრამ ამის გასაკეთებლად იგი თანამოაზრეების გუნდისაგან უნდა შედგებოდეს. ქადაგიშვილმა განაცხადა, რომ ხელისუფლება სავსებით უძლურია, ხოლო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა თავი იმით დაიზღვია, რომ თუ ირინა სარიშვილი-ჭანტურიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტი განხორციელდება, მას ამასთან არავითარი კავშირი არ ექნება.

– თუ ჩვენი პარტიის ლიდერს რამე მოუვიდა, ამაზე პასუხისმგებლობა უშიშროების მინისტრს კი არა, თავად პრეზიდენტს დაეკისრება, – განაცხადა ქადაგიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ყველაფერი, რასაც ადრე საქართველოს ედპ აცხადებდა ხელისუფლებაში გაბატონებული კორუფციის შესახებ, ახლა დამტკიცდა. ეს ეხება სოფლის მეურნეობისა და პროდუქტების, უშიშროების, შინაგან საქმეთა და სხვ. სამინისტროებს. როგორც დღეს საქართველოს პარლამენტის ბიუროზე გაირკვა, ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ჩვენს ლიდერს ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მოეპოვება, ჯერ ბიუროზე უნდა წარადგინონ განსახილველად და შემდეგ უმრავლესობამ უნდა გადაწყვიტოს მათი მომდევნო ბედი. ეს გადაწყვეტილება სრულებით ალოგიკურია. მაშინ, შეიძლება ეს დოკუმენტები პირდაპირ უშიშროების სამინისტროს გადაეცეს, რაც იმის ტოლფასი იქნება, მგელს რომ ცხვარი ჩააბარო.

შემდეგ მათ დასმულ შეკითხვებზე გასცეს პასუხი:

– შეგიძლიათ თქვენი პარტიის ხელთ არსებული თუნდაც ერთი დოკუმენტის შესახებ მოგვითხროთ?

– ჩვენ ხელთა გვაქვს არა ერთი დოკუმენტი, არამედ მთელი პაკეტი, რომელიც სხვადასხვა მოვლენების განვითარების ციკლს ასახავს. ისინი კომისიის მიერ შესწავლას საჭიროებენ. უკვე იყო მსგავსი პრეცენდენტი, როცა ჩვენ გვქონდა ყოფილი სუკ-ის შეფის იგორ გიორგაძის მაკომპრომეტირებელი ფაქტები, მაგრამ არავის არ უნდოდა ამისთვის ხელის მოკიდება და ჩვენგან მხოლოდ დოკუმენტის დემონსტრირება მოითხოვდნენ. ასე რომ, ამჯერად კომისიამ უნდა იმუშაოს.

– სად წავიდა იგორ გიორგაძეზე თქვენს ხელთ არსებული დოკუმენტები?

– ეს დოკუმენტები ჩვენთვის არავის უთხოვია და მათით არავინ დაინტერესებულა. უბრალოდ, ამის სურვილი არავის ჰქონდა.

– რამდენად იქნება უზრუნველყოფილი ირინა სარიშვილი-ჭანტურიას უსაფრთხოება?

– ჩვენი ლიდერის წინააღმდეგ 1994 წლის 3 დეკემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას დაცვა გამოუყვეს. ჩვენ უკვე მივმართეთ ხელისუფლებას იმის შესახებ, რომ ბევრი მსგავსებაა ახლანდელსა და ცნობილი ტერორისტული აქტის წინა პერიოდს შორის. ყურადღება მიაქციეთ უშიშროების მინისტრის შოთა კვირაიას სიტყვებს, რომელმაც წინასწარ განაცხადა მოსალოდნელ ტერორისტულ აქტთან ყოველგვარი კავშირის უქონლობის შესახებ და ედპ-ს ლიდერისთვის დაცვის გაძლიერება მოითხოვა. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს მინისტრისა და ხელისუფლების უსუსურობაზე.

ნანა მიშელაშვილი
(ბი ჯი აი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება მოსკოვის პროექტის 9 სართულიანი სახლის IV სართულზე 3 ოთახნახევრიანი პრივატიზებული სუფთა ბინა, სარდაფით, ტელეფონით, ღია აივნითა და მანქანის გასაჩერებელი ადგილით. მეტრო „სამგორიდან" 10 წუთის სავალი. ფასი 10000 დოლარი. ტელ. 78-55-78 (საღამოს საათებში)

იყიდება 2 სართულიანი სახლი ეზოთი, 15 მესხედი ხეხილიანი ბაღით, საგარეჯოს რ-ნი სოფ. ხაშმი. ტელ.73-68-00; 73-98-11 დათო, მარინა

იყიდება 3 ოთახიანი ტიპიური კუთხის ბინა, (მე-3 სართული), სამხივი მიშენებით. ოთახების ფართი 106 კვ.მ ფასი 21000 დოლარი. ტელ. 22-71-29

იყიდება 4 ოთახიანი ბინა, საბურთალოს ცენტრში ფართით 220 კვ.მ რემონტით, სარდაფით, ტელეფონით, ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-77-50

იყიდება 4 ოთახიანი არასტანდარტული ბინა, ხილიანის ქუჩაზე. საერთო ფართი 140 კვ.მ, ჭერის სიმაღლე 3,10, რემონტით, ტელეფონით, ავტოფარეხით, სარდაფით, ხუთსართულიანის მე-4 სართულზე. საწყისი ფასი 80000 დოლარი. ტელ. 36-54-37

იყიდება ფიქრის გორაზე (ვერაზე) პრესტიჟულ სახლში, დუპლექსის ტიპის ბინა მე-8-9 სართულზე 3+1 და 3+1, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ჭერის სიმაღლე 3 მ. 20 სმ. დაშენების ნებართვით, 4 ტელეფონის ნომრით, ფასი შეთანხმებით. ტელ. 23-18-13; 22-51-92

ვერაზე, მელიქიშვილის №23 სამოთახიანი იზოლირებული ბინა ძველი რემონტით, საერთო ფართი 83 კვ.მ შესასვლელი ეზოდან. ფასი 100$ ტელ. 29-33-50 ლია

იყიდება ვერაზე ერთი ოთახი 20 კვ.მ იტალიურ ეზოში იგივე ფართობი სამზარეულოთი სარდაფში. ფასი 6000$ ტუალეტი საშხაპე ერთად, ტელეფონით. ტელ. 22-72-83 გოგა

იყიდება კერძო სახლი ხუთი ოთახით. სახლი ორსართულიანია ბორჯომში ეზოთი და გარაჟით. მისამართი ინგოროყვას 8 (ყოფ. ჯაფარიძის ქ) ფასი 25000 ტელ. 2-10-82, 2-07-12 ან თბილისში 36-56-40 ან იცვლება ოროთახიანზე თანხის დამატებით.

იყიდება ერთსართულიანი კერძო სახლი მეტრო „300 არაგველებთან" ეზოში რამოდენიმე ოთახით, დიდი ხეხილის ბაღით. სულ 700 კვ.მ მიწის ფართობით. წყალი და ელექტროენერგია მუდმივია. საწყისი ფასი 35000 დოლარი. ტელ. 74-45-87 მის. პირველი დოლაბაურის ქ.№1

იყიდება ოროთახიანი ლვოვის ექსპერიმენტალური პროექტის ბინა დიდი დიღმის მე-3 მიკრორაიონის მე-16 კორპუსში მე-2 სართულზე. კარ-ფანჯარა გამოცვლილია. ფასი 7000$ მის. დიდი დიღომი, მე-3 მკრ-ნი. კორპ. №16 მე-2 სართ. ბინა №7

იყიდება იზოლირებული სამოთახიანი (+ლოჯია, 25+30+15) ბინა მე-3 სართულზე. საკუთარი აბაზანა-ტუალეტით, სამზარეულოთი, ტელეფონით, ორი სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ბინა სარემონტოა. მსურველებმა დარეკეთ: 61-26-57; 99-98-16 ფასი 25000$

იყიდება მაღალჭერიანი პრივატიზებული ბინა ფართით 44 კვ.მ ძველებური ტიპის ეზოში II სართულზე. სველი წერტილი საერთოა იმავე სართულზე. ფასადით მტკვრის სანაპიროსაკენ. მის. გორგასალის 11. ფასი 7000 დოლარი. იკითხეთ ციცო ან გურამი.

იყიდება 3 ოთახიანი, ჩეხური პროექტის ბინა, 90 კვ.მ მიშენებით. 1 სადარბაზოიანი სახლის მე-9 სართულზე. აქვს მანსარდა 80 კვ.მ ფასი 34000 დოლარი. ტელ. 38-29-43


ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს

დაგვირეკეთ ყოველდღე:
93-18-41


## ქირავდება

ქირავდება ბინა მელიქიშვილის №23 ოფისისათვის ორსართულიანი სახლის პირველი სართული, 4 მაღალჭერიანი ოთახი, სასაწყობო ფართით, აბაზანით. სულ 100 კვ.მ. ტელ. 22-52-54 ბელა. ფასი შეთანხმებით

ქირავდება სამოთახიანი კარგად გარემონტებული კარგი ავეჯით, ტელეფონით ბინა, რჩეულიშვილის ქ. VI კორპუსი, მთაწმინდის ხედით. სასურველია უცხოელებზე. ბინა მდებარეობს IX სართულზე. ფასი 250$ ტელ. 23-36-00

ქირავდება ჩუღურეთში ახალგარემონტებული იზოლირებული ოროთახიანი ბინა პირველ სართულზე. ტელ. 22-33-77

ქირავდება 1 ოთახი სამოთახიან ბინაში, სტუდენტ გოგონაზე, ტელეფონით. მეტრო „ღრმაღელესთან" ტელ. 61-68-97

## მილოცვები

**მარინა ჩეჩხლაძეს** – სამეზობლოს სულსა და გულს ვულოცავთ დაბადების დღეს.
„შტაბის" პრეს-ცენტრი.

**ლუკა!** გილოცავ დაბადების დღეს. წელს სკოლაში მიდიხარ – ბეჯითი ბიჭი ყოფილიყავი. გისურვებ ჯანმრთელობას და კაცურ ცხოვრებას.
დედიკო

**ხატია!** გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.
გიორგი დარჩიაშვილი

მეზობლები გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ომარ ქოქიაშვილის ვაჟი, 9 აპრილის ტრაგედიის მონაწილე
**ნუკრი ომარის ძე ქოქიაშვილი**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# დედა საქართველომ უნდა იცოდეს ჩვენი ტკივილი...

## ბორის ათამაშვილის ხსოვნას

50 წლის ასაკში დატოვე ამქვეყნიური ცხოვრება; – ცხოვრება, რომელიც მთლიანად და დაუნანებლად შენი ხალხის, ქვეყნის სამსახურს შეალიე.

იცოდი რა შენი ავადმყოფობა, ძალიან ჩქარობდი, რათა შენი აზრი, რჩევა და გულისტკივილი, გაგეზიარებინა თანამემამულეთათვის XXI საუკუნის საქართველოს შესახებ; – ეს სტატია დამიბეჭდეთ – იხვეწებოდი – ეს ჩემი სიცოცხლის ნაწილიაო...

– ავადმყოფობაზე ნუ მელაპარაკებითო! – გვიბრაზდებოდი... მხოლოდ ქართულ საქმეზე საუბარი გსურდა; ალბათ, რამდენიმე დღით სიცოცხლე გაგიხანგრძლივა, ქალბატონ მანანა შევილაძის ნაჩუქარმა ძველი საქართველოს პირველმა რუკამ, რომელიც ავტორმა პალატაში გაგიგზავნა.

ბავშვივით ტიროდი უსამართლობაზე და სიკეთეზეც...

– მე ვერ გადაგიხდით ამავს, და ასე ნუ წუხდებითო... იმას კი ვერ გრძნობდი, – თავად შენ იყავი იმ სიკეთის დამთესავი... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში, საინგილოს არ ჰყოლია შენისთანა გულშემატკივარი; – შენი თაოსნობით ჩამოყალიბდა ქართული სახალხო თეატრი, ჩატარდა ეკლესია-მონასტრების შესწავლა-რესტავრაცია, აბიტურიენტთა მომზადება, ახალგაზრდული შეხვედრები და ტურისტული ლაშქრობები. ეწეოდი პედაგოგიურ მოღვაწეობას და უფლის მცნებებს და საქართველოს სიყვარულს უნერგავდი ახალგაზრდობას, სიცოცხლეშივე იქეცი მისაბაძ მაგალითად...

ეს ძალიან მცირედი ჩამონათვალია შენი გულის კარნახით გაკეთებული საქმეებისა... რამდენი ჩანაფიქრი დაგრჩა განუხორციელებელი... მზად იყავი, ასჯერ მეტი გეტვირთა, ასჯერ მეტი აგელო საკუთარ თავზე...

წუთით არ ისვენებდი, სუნთქვა გიჭირდა და მაინც აფხაზეთი და საქართველო გეკერა პირზე. სათქმელი გაწუხებდა, რომელიც პირადად გინდოდა გადაგეცა თამაზ ნადარეიშვილისთვის.

ნოსტალგია გჭირდა მუდამ დედა საქართველოსი... ერთგან ხომ ამბობ კიდეც:

„სადაც ვიყო, მე შენი ვარ,
შენი გულის ნაწილი ვარ...
მომეფერე, საქართველოვ! –
უშენობით დამწვარი ვარ!"

ამიტომაც მოინდომე საქართველოში მკურნალობა, რადგან დიდი იმედი გქონდა დედაქალაქისა... მაგრამ ძალიან ტკივილიანი და უიმედო გაგისტუმრა თბილისმა, ბორის!

პირნათელი წახვედი ამ ქვეყნიდან... შენს მოსაგონრად შენი ნაღვაწი გვჩრება და კიდევ – „ბორიას წყარო", „ბორიას კუნძული". შენი გარდაცვალების შემდეგ კი, მშობლიურ სკოლაში, შენი სახელობის ოთახი იარსებებს, სადაც შენს მაგიდაზე თაობები აღიზრდებიან... შენს ცხედარს მიაცილებდა უამრავი ხალხი შენი კუთხისა, დახრილი ქართული დროშა და უამრავ გვირგვინს შორის გამორჩეული გვირგვინი წარწერით: – ახალგაზრდობისაგან – „მამული, ენა, სარწმუნოება", გულზე კი გედო „ახდენილი ოცნება" – ერთიანი საქართველოს რუკა.



ძვირფასო ბორის! შენი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეა. შენი სული მალე უფლის სამსჯავროზე წარსდგება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს!...

მეგობრები.

# რა, როდის და რომელ არხზე

### შაბათი, 29 მარტი

**1** 9.00 ცხრიდან თორმეტამდე. 12.00 მოამბე. XXI. მხატვრული ფილმი „განკიცხულნი". სიმფონიური მუსიკის კონცერტი. რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „სისხლიანი ქორწილი". 18.00 მოამბე. 20.35 ვიდეოპატრული-02. 20.45 ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი. სტუდია მაესტრო. 22.35 ილუზიონი წარმოგიდგენთ მხატვრულ ფილმს „ზიარება". დასასრულს – ქვიშის საათი.

**2** 19.00 ინფორმაცია მე-2 არხი. 19.20 საბავშვო გადაცემა „ჩიპო". 21.30 სარეკლამო ბლოკი და ინფორმაცია მე-2 არხი. 22.20 ამერიკული მხატვრული ფილმი „წვიმის კაცი", დასასრულს – კონცერტი.

**ОРТ** 9.45 მხატვრული ფილმი „ოქროს ეშელონი". 11.25 მულტსერიალი. 11.45 საოჯახო ბიბლიოთეკა. 12.00, 17.00, 20.00 ნოვოსტი. 12.10 მოძღვრის სიტყვა. 12.30 პირი ნუ დაგიღია! 13.00 დილის ფოსტა. 13.35 სმაკი. 13.55 კონცერტი. 15.10 მიწვევა მუსიკასთან. 15.40 ჭკუის კოლოფები. 16.25 აშკარა-დაუჯერებელი. 17.20 მულტფილმები. 18.10 ამერიკა ტარატუტას თვალით. 18.35 ცხოველთა სამყაროში. 19.15 ისტორიის ბორბალი. 20.35 მხიარულთა და საზრიანთა კლუბი-ასორტი. 21.10 მხატვრული ფილმი „ქერათმიანი ქალი მოსახვევში". 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.55 „სიამაყე და თავდაჯერებულობა". 00.55 კალამბური. 1.30 მხატვრული ფილმი „ვალმონი".

**РТР** 10.00 მულტფილმები. 10.35 ტელესერიალი „უსიერი ჯუნგლების საიდუმლოება". 11.25 ტი-მარკეტი. 11.35 მემორინა. 12.00 კლუბი „ადრენალინი". 12.15 დილა მშვიდობისა, ქვეყანავ! 13.00 ვესტი თერთმეტზე. 13.30 ჩვენი ბაღი. 13.45 საპარლამენტო კვირა. 14.15 რომანსიადა-97. 14.30 ენზეას საუკეთესო მატჩები. 15.25 ანონიმი თანამოსაუბრენი. 16.00 ცნობები. 16.20 ტელესერიალი „დაპირისპირება". 17.10 ჟეეტუშენკოს პროგრამა. 17.35 ცხოველთა სამყაროში. 18.05 ოლოხოვის გამოცანები. 18.50 ბნელი რ.აუშევისთვის. 19.05 უსასრულო მოგზაურობა. 19.35 რუსეთის ტელევიზიის შაბათის საღამო. 19.45 რამდენი ლამაზმანია... 20.35 რუსეთის ტელერადიოკომპანია სტუმრად ტელემაყურებლებთან. 20.55 შაბათ საღამოს ლევ დუროვთან. 22.00 ვესტი. 22.35 მწვავე თემა. 22.50 ეროვნული თეატრალური ფესტივალის „ოქროს ნიღაბი"-ს დახურვის ცერემონიალი. 00.30 ერთი ყველას წინააღმდეგ. 00.45 მხატვრული ფილმი „ოცნებების ველი". 2.40 შოუ „სიტუაცია". 2.55 რეპორტიორი. 3.10 საოცარი სამყარო. 3.25 ჰოროსკოპი, ვიდეომედიტაცია. 3.40 პროგრამა „ფ".

**НТВ** 10.00, 14.00, 18.00, 21.00, 00.00 სეგოდნია. 10.25 კარდანის მილიდეი. 10.40 დღის ახალი ამბები. 10.50 გაზეთების მიმოხილვა. 11.10 რეტრო-ნოვოსტი. 11.20 საამური ცხოვრება. 11.30 გარემო. 11.45 ცინცხალი ახალი ამბები. 12.00 მულტსერიალი. 12.30 ტელეთამაში. 13.00 ტელესერიალი „ლეგენდა დაკარგულ ქალაქზე". 13.45 კომპიუტერი. 14.20 „შინელი №5". 14.35 დღის ახალი ამბები. 14.45 კომპიუტერი. 15.00 რუსეთის ჩემპიონატი ჰოკეიში. 17.30 პანორამა. 19.00, 23.30 რუსული ალბომი. 19.30 მულტსერიალი. 20.00 „ჩ"-ს საათი. 20.30 დოგ-შოუ. 21.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. კვიპროსის და რუსეთის ნაკრებების შეხვედრა. 23.45 თოჯინები. 00.45 ნამედნი-64. 1.30 ვნებების იმპერია. 2.10 მესამე თვალი. 2.40 ფლეიბოი.

### კვირა, 30 მარტი

**1** 9.00 ცხრიდან თორმეტამდე. 12.00 მოამბე. სპა. რეიტინგი. მხატვრული ფილმი „ტერნერი და ჰუდში". სპორტული პროგრამა. საბავშვო სტუდია გთავაზობთ. ტელე-სინე-ვიდეო. 18.00 მოამბე. მოზაიკა. აფხაზეთის ტელევიზია. საგანძური. ინტელექტკლუბი. ენერგია. როდის. 21.00 მსგეფსი. 21.50 ვიდეოპატრული-02. 22.00 სპორტლოტო. სატელევიზიო კინოდარბაზი. 23.50 ქვიშის საათი.

**2** 19.00 ტაიმ-აუტი. 19.30 მულტფილმები. სპორტული გადაცემა. ვიდეოანონსი. ვარსკვლავები გვამცნობენ. 21.55 ტაიმ-აუტი. 22.15 რეკლამა. 22.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „კლდე". დასასრულს – კონცერტი.

**ОРТ** 10.10 მხატვრული ფილმი „ცისფერი ფინჯანი". 11.10 მულტფილმები. 12.00, 17.00, 2.15 ნოვოსტი. 12.15 უგზო-უკვლო ჩანაწერები. 12.30 სანამ ყველა შინაა. 13.10 დილის ვარსკვლავი. 14.00 მაღაზია არმიელებისთვის. 14.30 დაუკარ, გარმონო! 15.00 პროვინციული ისტორიები. 15.30 „კუსტოს გუნდის წყალქვეშა ოდისეა". 16.20 სმეხოპანორამა. 17.20 სიმფონიური საიდუმლოებანი. 17.50 მოგზაურთა კლუბი. 18.35 ტრეტიაკოვკა. 19.00 მულტფილმი. 19.25 ერთი ერთზე. 19.55 ბედნიერი შემთხვევა. 20.55 მხატვრული ფილმი „ანგელოზსა და ეშმაკს შუა". 23.00 ვრემია. 23.35 კინოაფიშა. 23.40 „სიამაყე და თავდაჯერებულობა". 00.50 კლუბი „თეთრი თუთიყუში". 1.45 საფეხბურთო მიმოხილვა. 2.25 მხატვრული ფილმი „გრეის კუიგლის უკანასკნელი ნება".

**РТР** 10.00 მულტფილმები. 11.10 ტელესერიალი „უსიერი ჯუნგლების საიდუმლოებანი". 11.50 ლატარიის სიახლენი. 12.05 დილა მშვიდობისა, ქვეყანავ! 12.45 ფიცი. 13.55 სპორტაკადემსტილი წარმოგიდგენთ. 14.00 წიგნის ფარდული. 14.25 წითელი წიგნი. 14.40 გაპონომორენკოს ხსოვნისადმი მიძღვნილი პროგრამა. 15.30 ადამიანი მიწაზე. 16.00 ვესტი. 16.20 ტელესერიალი „დაპირისპირება". 17.15 ექიმი გამოიძახეთ? 17.40 კულტურის ბაღი. 18.10 არაფერი, გარდა... 18.25 გინდათ კინოში გადაღება? 19.05 დისნეის ჯადოსნური სამყარო. 20.00 კარაოკე რუსულად. 20.30 საერთაშორისო მიმოხილვა. 21.15 ქალი და მამაკაცი. 22.00 სარკე. 23.05 რეპორტაჟი არაფერზე. 23.20 მხატვრული ფილმი „კიდევ ერთხელ სიყვარულზე". 1.00 მხატვრული ფილმი „სატყუარა 22". 1.55 ყველას პირზე აკერია. 2.10 ქსიუშასთან. 2.40 რეჟთაიმი. 2.55 ფეხბურთი საზღვრებს გარეშე.

**НТВ** 10.00, 14.00, 18.00, 21.00 სეგოდნია. 10.00 ჩვილის ბაგეთაგან. 10.30 ტელეთამაში. 10.50 რეპორტიორთა ალბომი. 11.25 გამოსადეგი. 11.40 გარემო. 12.00 ჩვილის ბაგეთაგან. 12.30 ტელეთამაში. 13.00 ტელესერიალი „ლეგენდა დაკარგულ ქალაქზე". 13.45 კომპიუტერი. 14.20 მიწის ექვსი მეასედი. 14.35 კაპიტალი. 14.45 დღის ახალი ამბები. 15.00 წიგნის მაღაზია. 15.30 მხატვრული ფილმი „ბონი და კლაიდი". 17.30 ჩვენებური თამაში. 18.20 კრიმინალი. 18.40 საგაზეთო რეიტინგი. 19.00 მხატვრული ფილმი „მაგარი უოკერი: მართლმსაჯულება ტეხასურად". 20.30 ნფომენკოს საკვირაო გადაცემა. 21.30 დოკუმენტური სერიალი „XX საუკუნე. რუსული საიდუმლოებანი". 22.00 ტელესერიალი „განგსტერული ქრონიკები: ამერიკული ისტორია". 23.00 იტოგი. 00.10 მხატვრული ფილმი „საიდუმლოებანი და სიყალბე". 2.45 მსოფლიოს ეროტიული შოუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლატარეა ყველასათვის

## 28 მარტს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის" მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

5000 ლარი – №501772;
1000 ლარი – №664737;
900 ლარი – №366042;
800 ლარი – №116130;
700 ლარი – №779711;
600 ლარი – №416192;
500 ლარი – №262001;
400 ლარი – №412079;
300 ლარი – №107303;
200 ლარი – №755475;
100 ლარი – №470022;
90 ლარი – *03804;
80 ლარი – *67893;
70 ლარი – *70005;
60 ლარი – *18233;
50 ლარი – *28901;
40 ლარი – *90856;
30 ლარი – *60030;
25 ლარი – *17729;
20 ლარი – *50057;
10 ლარი – ***735;
10 ლარი – ***915;
10 ლარი – ***161;
10 ლარი – ***898;
10 ლარი – ***742.

„ლატარია ყველასათვის" გათამაშდება ყოველ პარასკევს.

მეთორმეტე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის" ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12-დან – 14 სთ-მდე

– 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00-16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00-12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის XII ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **7951** გათამაშებაზე შეუძლიათ 4 აპრილს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა **ვაზ-2106** მოიგო ლატარიის ბილეთმა **№183722**

# კახა თარგამაძე: „მოსმენა", რა თქმა უნდა, დანაშაულია...

მეორე გვერდიდან

გაზეთში მაქვს წაკითხული.

სტალინი, მიქოიანი და ჟუკოვი სხედან. სტალინმა ჟუკოვი დატუქსა. ჟუკოვმა სტალინის მისამართით გულში გაიფიქრა – „ლორი" და გასვლა დააპირა. მიქოიანმა მისი ფიქრი გამოიცნო და სტალინს მოახსენა. სტალინი ეკითხება ჟუკოვს: ამხანაგო ჟუკოვ, აი, მიქოიანი მეუბნება, რომ თქვენ გიფიქრიათ „ლორი". ვისი მისამართით? რა თქმა უნდა, ადოლფ ჰიტლერის მისამართით, ამხანაგო სტალინ! – იყო პასუხი. სტალინი მიქოიანს მიუბრუნდა და ეუბნება, ამხანაგი ჟუკოვი ამბობს, რომ ჰიტლერს გულისხმობდა, თქვენ ვის გულისხმობდით ამხანაგო მიქოიან?

ასე რომ, ბატონო ნოდარ, თქვენ რას გულისხმობდით?

არა, ცხადია, ჩვენ არ დავგეგმავდით და მერმე ჩვენვე არ გავხსნიდით ამ დანაშაულს.

მთელი დღე-ღამის განმავლობაში არ გავსულვარ კაბინეტიდან. აქვე იყო ძალიან ვიწრო წრე. გვარებსაც ჩამოგითვლით – თემურ მურღულია, ზურაბ ჩხაიძე, რეზო ფოჩხუა, გაგუა, ალანია, ფერაძე. აი, ამ ბიჭებმა შესაშური ენერგიულობა გამოიჩინეს. მაქსიმალურად დავიცავით ინფორმაციის საიდუმლოობა და შედეგი მივიღეთ. ჩვენ არ გვინდა შექება და მოფერება, მაგრამ საქმის გახსნისთვის არც უნდა ვილანძღებოდეთ. დავიჭირეთ, რატომ დაიჭირესო, ვერ გავხსნიდით დანაშაულს და მერე იმას იტყოდნენ, რაღაც ინტერესი აქვთ და შეგნებულად არ ხსნიანო. ასე ჭრელი პეპლას როლში ყოფნაც არ შეიძლება...

*ნ.გ. – ბატონო კახა, ვფიქრობ, ამ ეტაპზე ეს თემა ამოვწურეთ. გისურვებთ ასე ოპერატიულად გაგეხსნათ ყოველგვარი დანაშაული. ახლა კი, თქვენის ნებართვით, დაპატიმრებულ მხედრიონელებზე მინდა გკითხოთ. საზოგადოებისთვის ძალიან ბევრი რამ უკვე ცნობილია, მაგრამ იმდენი არა, რაც თქვენთვის. გვეტყვით რამეს ჩვენთვის უცნობს?*

კ.თ. – ვეცდები გითხრათ.

გაგრძელება იქნება

# კაიფვორდი




**მწოლიარედ:** 1. ქალის სახელი, რომელიც „რუსებს დანით" ემუქრება; 4. „მარის შალში" გახვეული სამხედრო პირი; 9. „ასი თმის" ლერით გამოწვეული დაავადება; 10. ეშმაკია, მაგრამ მაინც ტყავს მ ას აძრობენ (ცხ.); 11. „ახტა" და მაინც წყალში ჩავარდა; 12. ფუჭი ანუ... 13. „ბანზე" გადასაფარებელი; 15. თვალების შუშაბანდი; 16. დილის სიმღერა; 18. თითივით გრძელი ყურძენი; 20. მონადირეთა საოცნებო და საშიში ქალი; 21. ქუჩის ქალის სეხნია მავნე მწერი; 22. ქალი, რომელიც „ას მათეს" უყვარს; 24. სასიამოვნო აბანო; 25. ქალაქი, სადაც ბევრი „სამარეა"; 27. ჭრილობა, რომელმაც გულში „გაიარა"; 28. ცეროდენა მდინარე; 29. „ადლიანი" სიკეთე; 30. „ოპერა ციას" არ მოეწონა; 31. „ნიკის პიკი"; 32. იარაღისგან „დასაფარი".

**მდგომიარედ:** 2. „სამი, ოთხი" ადამიანის საოცნებო ბაღი; 3. „ლიას" მისამღერი; 4. „მახათივით" წვეტიანი მთა; 5. სახელი ყველასთვის „საყვარელი" კაცის (რუს.კავშ.); 6. „ოსების" ქვეყანა აზიაში; 7. „ბაიას და ნანის" გასაყოფი ხილი; 8. ლოყაში გასატკაცუნებელი ხელისგული; 14. „დელიდან" ჩამოტანილი „კატების" საჭმელი; 15. „მარის" მეგობარი; 16. „სად თაფლია", იქვეა დინოზავრის ნაკვალევიც; 17. „დალის დის" ნაწნავი; 18. „ათი" რა საჭიროა ერთიც დაგზაფრავს თუ ვეფხვისაა; 19. „ტილივით" არასასიამოვნო ქოხი; 21. „ზარით" ვაჭრობის ადგილი; 23. „მაროს" სანიავებელი; 26. „უჩას" სასეირნო ადგილი.

ნუნუ ლოლაშვილი

### წინა ნომერში დაბეჭდილი ლადავვორდის პასუხები

**ჰორიზონტალურად:** 1. ჰიგიენა; 4. ელექტროდეპო; 10. მოცხარი; 11. მაგია; 12. გაზი; 13. ვატი; 14. ზლოტი; 15. ბელა; 16. კარატე; 17. აწყური; 19. დიპლომი; 21. გრაფა; 24. ფილიპსი; 27. ტუჩი; 28. ბაგირი; 30. მოტორი; 31. ზოდი; 32. ციტატა; 33. კატლეტი; 34. ინტელექტუალიზმი; 35. ფორა.

**ვერტიკალურად:** 1. ჰალოგენი; 2. იმამი; 3. ნამცხვარი; 5. ლიცენზია; 6. რასა; 7. ესტაფეტა; 8. ობლიგაცია; 9. პაშტეტი; 11. მუტრუკი; 18. ჩაქუჩი; 20. ლინზა; 21. გზატკეცილი; 22. ალი; 23. ლონისძიება; 24. ფენი; 25. სავარძელი; 26. აიკიდო; 28. ბიზნესი; 29. სტატია.

# რუსულიც უცხო ენაა...

## ღია წერილი საქართველოს განათლების მინისტრს ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს

ბატონო მინისტრო!

დარწმუნებული ვართ, ყურადღებით გაეცნობით წინამდებარე წერილის შინაარს და კოლეგიასთან ერთად გაიზიარებთ მასში მოყვანილ არგუმენტებს; მჯერა, არ დააყოვნებთ გადაწყვეტილების მიღებას და მის რეალიზებას პრაქტიკაში.

ბატონო თამაზ, შექმნილია მეტად პარადოქსული სიტუაცია იმის გამო, რომ რესპუბლიკის ყველა ტიპის და დონის ქართულენოვან სასწავლებლებში ფაქტობრივად და იურიდიულად არ არის მიჩნეული რუსული ენა უცხო ენის ეკვივალენტური სტატუსის მქონე სასწავლო თუ საგამოცდო საგნად. ასე მაგალითად, ქვეყნდება განცხადებები და, რაც მთავარია, შემდგომში პრაქტიკაშიც ხორციელდება ასეთი მიდგომა: გამოცდა (გასაუბრება) იწარმოებს შემდეგ საგნებში: ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (რუსულის გარდა) და ა.შ. იბადება, შეიძლება ითქვას, საკმაოდ გამაღიზიანებელი შეკითხვა: რას ნიშნავს ფრჩხილებში მოცემული „რუსულის გარდა"?! ქართულენოვან სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენა არ არის უცხო ენა? და ისიც უკვე საკუთარ დამოუკიდებელ ქვეყანაში? ხომ არ ნიშნავს ეს, ნებსით თუ უნებლიედ, საკუთარი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულობის და მშობლიური ენის, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ავტორიტეტის შელახვას? და, რაც ყველაზე უფრო მთავარია, მსგავსი მიდგომა უცხო ქვეყნის ენის მიმართ – ანტიკონსტიტუციურია და, ჩემი შეხედულებით, შეურაცხჰყოფს რესპუბლიკის სუვერენიტეტს – და იგი უნდა აღმოიფხვრას უახლოეს მომავალში ყველა დონის ქართულენოვან სასწავლო დაწესებულებებში. ფაქტიურად, რუსული ენა, როგორც წესი, არის ერთ-ერთი უცხო ენა და მოსწავლეს თუ სტუდენტს იურიდიულად უნდა მიენიჭოს სრული თავისუფლება ამ ენის სასწავლოდ თუ საგამოცდოდ შერჩევის დროს, რაც ამჟამად ასე არ არის.

ამგვარად, მიგვაჩნია, რომ ყველა ტიპის ქართულენოვან სასწავლო დაწესებულებებში სავალდებულო შესწავლის საგნად უნდა დაწესდეს მხოლოდ ერთ-ერთი უცხო ენა და იგი შეარჩიოს მოსწავლემ, სტუდენტმა, აბიტურიენტმა თუ ასპირანტმა საკუთარი შეხედულებისამებრ. მხოლოდ ასეთი მიდგომა მიგვაჩნია ამ საკითხისადმი მართებულად და დემოკრატიულად.

ღრმა პატივისცემით

ვაჟა ხელაია,
გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტის უცხოური ენების №1 კათედრის გამგე

# საქართველოს საპატრიარქო წინააღმდეგია

***კანონპროექტი სამხედრო ვალდებულების შესახებ, რომელსაც მალე საქართველოს პარლამენტში წარადგენენ, საქართველოს საპატრიარქოს უარყოფით რეაქციას იწვევს.***

კანონპროექტს სამხედრო ვალდებულების შესახებ საქართველოს პარლამენტი უახლოეს მომავალში განიხილავს. მისი ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებს ალტერნატიულ სამსახურს იმ ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სარწმუნოება იარაღის ხელში აღების უფლებას არ აძლევს. კითხვაზე, თუ ვის შეეძლება კონკრეტულად ალტერნატიული სამსახურის არჩევანის უფლება, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ რეზო ადამიამ სავსებით კონკრეტულად განაცხადა – „მსგავსი უფლება ექნებათ სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების, პაციფისტური ორგანიზაციების წარმომადგენლებს, იეღოველებს".

საქართველოს საპატრიარქოს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა დეკანოზმა ბასილმა (კობახიძემ) ამ განცხადებას აბსურდული უწოდა. მისი თქმით, არ შეიძლება იეღოველების იურიდიულ სუბიექტად წარმოჩენა. იქიდან გამომდინარე, რომ მართლმადიდებლური ეკლესია მუდამ სამშობლოს დაცვისკენ მოუწოდებდა, გამოდის, რომ მართლმადიდებლებმა უნდა დაიცვან სამშობლო, სხვებმა კი არა. თანამედროვე, ინდიფერენტულად განწყობილი ახალგაზრდა ადამიანი ამჯობინებს თავი იეღოველად გამოაცხადოს და ამით სამხედრო სავალდებულო სამსახური თავიდან აიცილოს, – აღნიშნა დეკანოზმა ბასილმა. ამიტომ, საქართველოს საპატრიარქო ალტერნატიული სამსახურის კატეგორიული წინააღმდეგია.

ნელი მუავანაძე,
ბი ჯი აი

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444